სახალხო გაზეთი

№ 1169 ოთხშაბათი 23 აპრილი 1914 წ. № 1169

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლის

„სახალხო გაზეთზე"

(სურათებიანი დამატებით)

წლიურ ხელის მომწერთ პრემიად მიეცემათ:
1) ქართველი მწერლები, 2) უცხოეთის მწერლები, 3) სამეცნიერო კრებული.

წლიური ფასი 8 მან. 50 კაპ.

მისამართის გამოსაცვლელი 40 კ., პრემიების გასაგზავნი 60 კ.

ნაწილ-ნაწილ ფულის გადახდა შეიძლება შემდეგ ვადებზე: პირველ აპრილამდე 5 მან., პირველ თიბათვემდე 2 მან. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

მისამართი: **Тифлисъ, газ. „Сахалхо Гaзети" П. Ящ. 190**

ტელეფ. ქართული თეატრი **№ 795.**

ხუთშაბათს, 24 აპრილს, 1914 წ., ქართ. დრამ. საზ. დასის მიერ **ქ-ნ ნინო ჩხეიძის მონაწილეობით** წარმოდგენილი იქნება:

ივდითი

ტრაგ. 5 მოქმ. ჯიაკომეტისა, თარგმ. ი. მაჭავარიანისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: პიერეტა, ქიქოძე, შოთაძე, ჩხეიძე; ბ-ნნი: არადელი-იმხნელი, ბარველი, გუნია, ზარდალიშვილი, მესხი, სარაული, ციციშვილი, ხონელი, ფრანგიშვილი.

დასაწყ. საღ. რვა-ნახევარ საათ. ✦ ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

1138 რეჟისორი **მ. ქორელი.** ადმ. ქარ. დრ. საზ.

ტელეფ. ხარფუხის სახალხო აუდიტორია **№ 11-79.**

(კლუბის შენობაში)

ხუთშაბ., 24 აპრილს, ხარფუხის ქართ. სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის მიერ წარმოდგენილი იქნება:

ყომარბაზის ცხოვრება,

დრამა 4 მოქ. თარგმანი ალ. ბაჟიაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებს წრის საუკეთესო ძალები.

ადგილების ფასი 4—50 კ. ✦ დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

271 მორიგი გამგე **გ. შათირიშვილი.** რეჟის. **ს. პეპანოვი.**

ძმ. ზუბალაშვილების სახელობის სახალხო სახლში

ოთხშაბათს, 23 აპრილს, გაიმართება

სალიტერატურო დილა

I განყ.

ბ-ნი სამ. დადიანი წაიკითხავს ლექციას: „საზოგადოებრივი აზრები მე-19 საუკ. ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობაში. ა. წერეთელი და რ. ერისთავი".

II განყ.

გაიმართება კამათი ქართული თეატრის შესახებ. საკამათოდ მოწვეულნი არიან: ბ-ნნი **ივ. გომართელი, გ. გორდეზიანი, იპ. ვართაგავა, კ. აბაშიძე, არ. ჯაჯანაშვილი, გ. ჟორდანია, ს. დადიანი, ივ. ჩერქეზიშვილი, შ. ქართველიშვილი, ი. გედევანიშვილი, მ. ქორელი, გ. შალიკაშვილი** და სხვანი. ბილეთები კასაში იყიდება. ფასი 5 კ—50 კაპეიკამდე.

დასაწყისი დილის 12 საათზედ. დაწვრილებით პროგრამაში.

276 გამგე **ი. იგანიძე.**

ახალი კლუბი

საოჯახო საღამო

სამშაბათს, 29 აპრილს, 1914 წელს, გაიმართება პირველი

სიმფონიური კონცერტი

ახალი კლუბის სიმებიანი ორკესტრისა, შემდგარი 60 კაცისაგან **ი. პ. ფალიაშვილის** ლოტბარობით. დასაწყისი საღამოს 9 საათზედ. 1155

დიდი ცირკი ფ. ა. იუპატოვისა

მიხეილის პროსპექტზე, მუშტაიდთან.

ოთხშაბათს, 23 აპრილს, გაიმართება



დიდი სადღესასწაულო წარმოდგენა,

მთელი დაჯილდოვებული დასის მონაწილეობით.

ვისზე ლაპარაკობს მთელი ტფილისი?
როგორ თუ ვისზე?

ყველგან საზოგადოების საყვარელ, ყოველ-დღიურ პროგრამის, თანამედროვე კლასიკურ ექსცენტრიკი ბ-ნნი როზეტებზე, დამსახურებულ სალონის ჟონგლერ ბ-ნი კანკოვსკებზე, რომელნიც ღირსნი გახდნენ მათის უმაღლესობის წინაშე გამოსულიყვნენ იალტაში „ცელვის კაცებზე", **გამოჩენილ ჯამბაზ ბ-ნი როსინის ოჯახობაზე,** რომელთაც თავისი ოინებით საოცრებაში მოჰყავთ მაყურებელი საზოგადოება. ცხოველ ბუნების შემქმნელ ბუფრიკა ბ-ნ შიტსონზე, უშიშარ მოჯირითე ბ-ნ ანდრიანოვზე! კარ-დე-ბალეტზე, რომელიც მოწვეულია დაჯილდოვებულ მხეთუნახავის ქ-ნ ელენე იუპატოვის მიერ. ცხენების საუცხოვოდ მწვრთნელ იუპატოვზე ცირკის საუცხოვო პანტომიმის განყოფილებაზე.

ცირკის დირექტორი **ფ. ა. იუპატოვი.** გამგე **ლ. მ. ხუნდაძე.**

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. 272

სანატორიუმი

„რუსული დავოსი",

აბასთუმანში.

გულსუსტებისა, სისხლ-ნაკლებთა, დაქანცულთა და ფილტვების სნეულებით ახლად დაავადებულთათვის. საუცხოვო განმარტოვებული მზიანი, უქარო ადგილი ფიჭვნარიან ტყეში. სანატორიუმთან მოწყობილია საკუთარი რენტგენის კაბინეტი. ყველა თანამედროვე ფიზიკური წამლობა, ჰიგიენა-დიეტაზე დამყარებული, სპეციფიური წამლობა ტუბერკულინით, ხელოვნური პნევმოტორაკსი და ტყირპის წამლობა რენტგენის სხივებით. საკუთარი მეურნეობის ფერმა. სრულის პანსიონით სამკურნალო ხარჯ-მთვლით და სხვა თვეში 150—250 მ. ✦ დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ **სანატორიუმის დირექტორს ექიმს გ. მეგრაბიანცს, 1 მაისამდე** ქ. ტფილისში, ბებუთოვის ქ., № 23. 1 მაისის შემდეგ—აბასთუმანში. ზღვისზედაპირიდან 1278 მეტ. ტფ. გუბ.

ტელეფონი № 7—92. 1087

გრიშაშვილის საღამო

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 23 აპრილს, 1914 წ. გაიმართება საყურადღებო სალიტერატურო, სამხატვრო და სამუსიკო

სალამო-მეჯლისი

ხუთ განყოფილებად:

1) ლექცია, 2) ქართული ოპერეტკა, 3) დივერტისმენტი, 4) ცოცხალი სურათები, 5) საკონცერტო განყოფილება.

I

ზეროტი ქიქოძე წაიკითხავს: „**პოეზია და სინამდვილე**"

II

ტასო აბაშიძის, დ. მგალობლიშვილის და სხვ. მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ქართულად ოპერეტკა

ქორწინების წინ

მხიარული ოპერეტკა 1 მოქ. მუსიკა ჟონნასი, თარგ. **ვახო აბაშიძისა.** ორკესტრი „ახალი კლუბისა" **პ. პ. ფალიაშვილის** ლოტბარობით.

III

მოთხრობები, ლექსები, ესკიზები და შარჟები.

მონაწილეობენ: **ქ-ნი ნინო ორბელიანი,** ილ. ელეფთერიძე, კ. მაყაშვილი, თაგუნა, იოს. მაჭავარიანი, კ. ჯაფარიძე, ირეთელი, ალ. იმედაშვილი, ნ. ერისთავი და ი. გრიშაშვილი.

IV

ცოცხალი სურათები

ალ. ყაზბეგის „ელისოდან", დასდგავს **ალ. წუწუნავა.** მონაწილეობენ: სახალხო სახლის სცენის მოყვარენი და თანამშრომელნი.

V

საკონცერტო განყოფილება.

მონაწილეობენ: დ. აკოფაშვილი, ოსიკო ბარათაშვილი, ქ-ნი ა. ბოლაძე, დ. ლეჟავა, კ. ცხომელიძე, ი. სადირაშვილი, **ტრიო** (ნ. კავსაძე, ნ. ჩაგუნავა და ვ. ჩეკურაშვილი) დასასრულ გ. აბაშიძე და ნ. გოცირიძე იმღერებენ „ვაი-ვუის" ხმაზე ახალ, საამდროვო კუპლეტებს.

დაწვრილებით პროგრამებში. ✦ დასაწყისი საღამოს სრულ 8½ საათზე.

აკომპანიმენტს დაუკრავს: **ს. სტრახოვ-სალავიოვისა.**

ადგილების ფასი ჩვეულებრივია (პარტ. 50 კ.-დან 3 მ.-დე, გალერ. 20 კ. 40 კ.) ბილეთები ამ თავითვე იყიდება მხოლოდ თეატრის კასაში. 1142

გორის პირველი კერძო სამკურნალო

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

კობერიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.

მესხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

ბრიუკნერი მ. ზ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.

ბინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან.

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა **წამლობა „606", „914".** 1088

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახებით განსაკუთრებით სამშობიარო განყოფილებით.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი მ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს. **ფიდოროვი ე. გ.** ყოველ დღე 11—12. **კიკალაშვილი პ. ლ.** ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარქოვიჩი გ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **მერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულ.	**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფიდოროვი გ. ს.** ყოველ დღე 11—2. **კიკალაშვილი პ. ლ.** ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს.
ნერვიულ სნეულებ. და ელ. მკ.	**ჯაშახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ფონდოვი გ ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ., ყურის და ცხვირ.	**ათინიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი გ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wassermann.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606" და „914" წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა, შეღავათიანი საფასურით. ყ. 1070

აუქციონი

კვირას, 27 აპრილს, დილის 10 ს.,

ტფილისის ქალაქის ლომბარდში

ვადა-გასული დაგირავებული ნივთები ძვირფასი ლითონისა, ქვისა და ლითონისა

საჯაროდ გაიყიდება 274

დაიბეჭდა და იყიდება

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების გამოცემა

ი. გრიშაშვილი

წიგნში მოთავსებულია დღემდე დაწერილ-დაბეჭდილი ყველა ლექსი.

ფასი ერთი მანეთი

ტფილისში წიგნი ისყიდება—ქ. შ. წ. კ. გ. ს. წიგნის მაღაზიაში, (სასახ. ქუჩა) და კიკნაძის სავაჭროში (სახაზინო თეატრის პირდაპირ). საწყობი გრ. ფცხილაძესთან, ოლღას შესახვ. № 5. 1141

ელექტრონის, რენტგენის, სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ნერვებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1094

ვაგზლის სამკურნალოში

(მიხაილოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

ნათიშვილი—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.

მინასოვი—ქირურგი, 11—12 საათამდე.

პაპოვი—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—11½ საათამდე.

ციციშვილი—შინაგანი და ნერვების 12—1 საათამდე.

ექ. ქალი იოსელიანი—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11½ ს.

სამხედრო ექ. კლდიაშვილი—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 12—1 ს.

ბაშაკიძე—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.

ყვავილის აცრა, ძიძათ შემოწმება და სხვ.

რჩევის საფასური—50 კაპ.

წამლობა „914" და „606".

1023

ტფილისის ქალაქის ლომბარდი

გაცემულ სესხზე იღებულობს წელიწადში **მხოლოდ** 11%, აქ შედის შენახვისა და დაზღვევის ხარჯიც.

ლომბარდში მუშაობა სწარმოებს დილის 9 ს. ნაშუადღევის 3 ს-მდე. სესხს, **რაოდენობის მიუხედავად, დაუბრკოლებლად** აძლევენ.

გამოსყიდულს გირაოს **დაუყოვნებლივ** უბრუნებენ.

მაისის გასულა ლომბარდი გადადის მელიქ-აზარიანცის სახლში, ოლღას ქუჩაზე, ვერის დაღმართთან. 1150

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შეიტანონ დარჩენილი ფული,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. 1073

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი

გ. გ. მეგრაბიანცი

იღებს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს. სწამლობს ფილტვებისა—ჭლექი და გულის სნეულებათ. სპეციფიურად ჭლექისათვის შეფარდებული წამლობა, ხელოვნურ. პნევმოტორ. განათება, ფილტვებისა და გულისა ფოტოგრაფიულად გადაღება და აგრეთვე ელვისებურ რენტგენის სხივებით გადაღება სხეულის სხვა ნაწილებისაც. ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამ. 5—7 ს.-დე. კვირაობით დილ. 9—12 ს.-დე. **ღარიბების** წამლობა დილ. 9—10 ს.-დე. **უფასოდ.** ბებუთოვის ქ., 23. **ტელეფ.** № 7—92. 1516

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის

სამკურნალო ქალ. ბაქოში

მუდმივ საწოლებით:

სულით-ავადმყოფებისა, აფზნიანებისა და ლოთებისათვის.

ფასი მორიგებით.

ადრესი: **Баку, магазинная, № 50.** 1084

ქ. გორში (დოკტორანტი).

ექიმი მ. დ. წინამძღვრიშვილი

ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი **გულისა, ფილტ.** და **სისხლის** სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. **გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში.** სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდ. 1050

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა** და კანის ავადმყ.: **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 1080

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, სახ. გაბაშვილისა.

ექიმი ზ. ნ. მაგაკიანი გადმოვიდა ახალ ბინაზე, სოლოლაკში, ბებუთოვის ქ. № 38. **შინაგანი ბავშვთა სნეულებანი, სპეციალურად კუჭისა და ნაწლავების** ავადმყოფობანი. **ელექტრობა-რაპია** იღებს დილის 10—11 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ტელეფ. № 388. 1053

ექიმი ს. გ. მამრაძე დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება (**ქალთა და სამშობ სნეულებანი**).

ავადმყოფებს მიიღებს ნაშუადღევის 1—2 საათ. საღ. 5—7 საათ. ვერის დაღმართი სახლი № 5. ბინა 5. 1244.

ექიმი ნიკოლოზ სვიმონის ძე ხუჩინოვი (ნოვოროსიის საიმპერატორო უნივერსიტეტის კლინიკის ორდინატორი—დედათა და მშობიარეთა სნეულებისა) დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება მამა მისის ბინაზე, აფთიაქის ქუჩაზე. 1177

ექიმი შ. ა. მიქელაძე მიიღებს **შინაგან და ბავ. შვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან 7 საათამდე მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 8—16

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. აქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 1011

ექიმი ქალბატონი ნინო რცხილაძე გადმოვიდა მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ტფილისი, 23 აპრილი

მთავრობის ახალი „განმარტება“.

თუ ინგლისი კონსტიტუციონალიზმისა და მოქალაქობრივი თავისუფლების კლასიკური ქვეყანაა, რუსეთს თამამად შეიძლება ეწოდოს „განმარტებათა“ კლასიკური ქვეყანა. რუსეთში ყოველს კანონს თავისი განმარტება სდევს, როგორც შავი აჩრდილი. ინგლისის კონსტიტუცია ერთ თაბახ ქაღალდზე დაეტევაო, ამბობენ ხშირად. ინგლისის მოქალაქობრივი ცხოვრება, ინგლისის თავისუფლება, პატივისცემა პიროვნებასა და მის უფლებებისადმი ერთს თაბახზე ეტევა. რუსეთში კი ერთ თაბახზე ვერც ერთი სრულიად უმნიშვნელო კანონიც ვერ დაეტევა, რადგანაც თვითეულ კანონს იმდენი „განმარტება“ სდევს, რომ ამ განმარტებებით მთელი ტომი შესდგებოდა. გამრავლდა და გაიზარდა რიცხვი „განმარტებებისა“ განსაკუთრებით 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცხადების შემდეგ. დროებით კანონში სწერია, თავისუფლება სიტყვისა და ბეჭდვისაო. მაგრამ ამ თავის თავად სრულიად ცხადსა და გარკვეულს ცნებას, რომელსაც არავითარი „განმარტება“ არ ესაჭიროება, თან იმდენი განმარტებანი დაჰყვა, რომ აღარ იცის, სად იწყება კანონი და სად მისი სრული უარის-მყოფელი განმარტება. თავისუფლად შეიძლება ლაპარაკი სახელმწიფო სათათბიროში და გაზეთებსაც შეუძლიანთ დეპუტატების ნალაპარაკევი დაბეჭდონო. მაგრამ ნათელსა და ადვილად გასაგებ ცნებას თანა სდევს განმარტება, რომ, თუ რომელიმე დეპუტატის სიტყვა დაბეჭდე და თან არ დააყოლე, პურიშკევიჩი ამ სიტყვის შესახებ სხვანაირი აზრისა იყოო, დაგწამებენ დიდს დანაშაულობას და სამართალში მიგცემენ 129 მუხლის ძალით, რომელიც სჯის დამხაშავეს არსებული წეს-წყობილების წინააღმდეგ ამბოხების მოხდენისთვის.

ამ განმარტებათა რაღაც მოჯადოებულ წრეში ვიმყოფებით და ამიტომ არც უნდა გაგვიკვირდეს, რომ მთავრობამ კიდევ ერთი საშუალება გამოსძებნა განმარტებისა და დეპუტატებს სამართალში აძლევს 129 მუხლის ძალით. ეს უკვე არც ცილისწამებაა, არც სხვა ამნაირი დანაშაულობა. 129 მუხლი თავიდან ბოლომდე პოლიტიკური მუხლია, იგი სჯის იმას, ვინც მოუწოდებს მცხოვრებლებს სიტყვით ან ბეჭდვით ამბოხებისკენ.

მგონია, აღარავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რა არის 129 მუხლი და ხშირად რა გულ-უბრყვილო დანაშაულობას ასაღებენ ამბოხებად. ყველაფერი, რაც მთავრობას არ მოსწონს, ამბოხებაა, მაშასადამე, ცოტაოდენი ცდის შემდეგ და უფრო ხშირად კი უცდელადაც შეიძლება ბრალდების წამოყენება 129 მუხლის ძალით. ეს მუხლი მართლმსაჯულებისა მთავრობის ხელში გადაიქცა პოლიტიკური შურისძიების იარაღად. თუ დღემდის ამ იარაღით ებრძოდნენ „უბრალო მოკვდავთ“, ეხლა დეპუტატებსაც ებრძვიან. სამართალში არის მიცემული დეპ. ჩხეიძე იმ სიტყვებისთვის, რომელიც მან სახ. სათათბიროში წარმოსთქვა. თუ ეს პრეცენდენტი დაკანონდა, სახელმწიფო სათათბირო ისეთსავე მდგომარეობაში ჩავარდება, რანაირშიაც დანარჩენი რუსეთი იმყოფება. იგი გადაიქცევა პოლიტიკური შურის-ძიების ექსპერიმენტების ისეთსავე ობიექტად, რანაირიც რუსეთის თვითეული მოქალაქეთაგანი.

გასაკვირველი და მოულოდნელი აქ არაფერია. რეაქციასაც თავისი ლოღიკა აქვს: იგი უსათუოდ თავის ლოღიკურ დასკვნამდე უნდა მოვიდეს.

საკანონმდებლო დაწესებულებას მხოლოდ მაშინა აქვს ძალა და მნიშვნელობა, მხოლოდ მაშინ არის პატივცემული მთავრობის მიერ, როდესაც იგი ხალხის საერთო უფლებას ემყარება. გასაოცარი ის იქნებოდა, რომ სათათბიროს, რუსეთის საყოველთაო უუფლებობისა,დიდხანს შეენახა უფლებრივი სახე. ეს პოლიტიკური აბსურდი იქნებოდა და მთავრობაც ეხლა ცდილობს დააჯეროს ყველა, ვინც დღემდის ილიუზიებითა სცხოვრობდა, რომ ასეთი აბსურდები მას არა სწამს.

სათათბიროს ოპოზიცია მაინც ჯახირობს: ჰსურს შეიმუშავოს კანონი დეპუტატის ხელ-უხლებლობის შესახებ. მოასწრებს კი?

ქართული პრესა

დეპ. ჩხეიძის პასუხის გებაში მიცემის გამო, გაზეთი „აზრი“ სწერს:

მართალია, პარლამენტარულ ქვეყნებში დეპუტატის ხელუხლებლობა უზრუნველყოფილია, მაგრამ იქ ეს მოქალაქეთა თავისუფლებაზე შენდება; რუსეთში კი „მოქალაქე“ დატუქსულია, ხოლო დეპუტატი თავისუფალი.

ორში ერთი: ან ქვეყნის განთავისუფლება და მით დეპუტატის ხელუხლებლობის განმტკიცება, ან არსებული წყობილების დაცვა და მით დეპუტატის უფლებათა შეკვეცა—ასეთია მდგომარეობა. პირველი ხალხის ინტერესია. მაგრამ ბიუროკრატიის დამღუპველია და ის მეორე გზას დაადგნენ.

ჯერ თავი ისახელა დეპუტატმა გოლოლობოვმა... ახლა ახალი „ცილისწამება“ აღმოაჩინეს. ნიშანში ამოიღეს უკიდურესი ოპოზიციის ლიდერი კარლო ჩხეიძე. შეიძლება ის კერძო პირის წინააღმდეგ ამხედრდა და ვინმეს მართლა ცილი დასწამა!

სრულიადაც არა. მან ტრიბუნიდან სიტყვა წარმოსთქვა და დემოკრატიული რესპუბლიკა მოიხსენია. ეს უზენაესი ძალის შეურაცყოფათ ჩასთვალეს და 129 მუხლის ძალით სამართალში აძლევენ. ამ დღეებში საქმეს განიხილავს სახელმწიფო საბჭოს დეპარტამენტი, სადაც ეს კითხვა გადაეცა მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

ასე იცავენ სახელმწიფო სათათბიროს დებულებას! ასეთია სათათბიროსთან „შეთანხმების“ ტაქტიკა, რომელიც ი. ლ. გორემიკინმა ქვეყანას აუწყა!

ერთი დაჰვიწყებიათ: დეპუტატის უფლებათა გაბითილება ხალხის აბუჩად აგდებას ნიშნავს.

1905 წელი და მისი მონაპოვარნი ნელ-ნელა ისტორიის სავანეში მიესვენება.

მაგრამ ნუ თუ ჰგონიათ, რომ ხალხი, რომელმაც თავისუფლება თუნდაც მცირე ხნით იგემა, რეაქციის წყვდიადს შეურიგდება?“

⁂

ამავე საგნის შესახებ „იმერეთში“ ვკითხულობთ: რუსეთის კონსტიტუცია ერთ რამეში ჰგავანდა ევროპის კონსტიტუციებს

14 მუხლი სახელმწიფო სათათბიროს დაწესებულებისა დეპუტატის ხელ-შეუხებლობას აღიარებდა. სწორედ ამ 14 მუხლის ძალით არ შეეძლოთ დეპ. ჩხეიძის სამართალში მიცემა, უკიდურეს შემთხვევაში იგი შეეძლო გაესამართლებინა თვით სახელმწიფო სათათბიროს, თანახმად იმ რეგლამენტისა, რომელიც შეიმუშავა მან.

მაგრამ როდესაც პარლამენტის ცხოვრებაში პროკურატურა ერევა და დეპუტატებს 129 მუხლის ძალით ასამართლებენ, ეს უკვე პარლამენტის დატუქსვაა. რუსეთის კონსტიტუციას დეპუტატთა ხელშეუხებლობა არ ჰქონია და არავითარი გარანტია არ არსებობს, რომ, თუ დღეს მარტო ერთი დეპუტატი მისცეს სამართალში, ხვალ მთელ სათათბიროს არ გაასამართლებენ.

ჭეშმარიტად ასეთი გარემოება დიდ საფრთხეს ჰქმნის რუსეთის განახლებულ ცხოვრებისთვის და ძნელია წარმოსადგენად რა მომავალს უმზადებს იგი ხალხს.“

სახელმწიფო სათათბირო

21 აპრილის სხდომა

როძიანკო თავმჯდომარეობს.

განსახილველია საკანონმდებლო წინადადება 1890 წლის საერობო დებულების; ამ წინადადების შემომტანთ აზრადა აქვთ არსებული დებულება ასე შეასწორონ: საერობო დაწესებულება თავისს შინაურს საქმეში სრულიად დამოუკიდებელი და თავისუფალია; ადმინისტრაციას არავითარი გავლენა არ უნდა ჰქონდეს; ადმინისტრაციას უფლება აქვს მხოლოდ საერობო დაწესებულებათა მოქმედების კანონიერებას ადევნოს თვალყური.

ლვოვი პირველი. ერობა ის ძალაა, რომელიც რუსეთის მკვდარ სახელმწიფოებრივობას გამოაცოცხლებს. არსებული მდგომარეობა ადმინისტრაციისა და საერობო თვითმართველობის შორის შეუძლებელია დიდხანს გაგრძელდეს, და თუ ჩვენ ძველს წყობილებას ვერ მოვსპობთ, მაშინ ის ჩვენ მოგვსპობს.

მანკოვი. ახლანდელი წოდებრივი ერობის წინააღმდეგ ლაპარაკობს.

გრონსკი წინააღმდეგია ერობის არსებული თვითმართველობისა, რომელიც საზოგადოების მოთხოვნილებათ არ შეეფერება.

კანონდებითი წინადადება სათათბირომ სასურველად სცნო და კანონპროექტი შესამუშავებლად კომისიას გადასცა.

მიიღეს კანონპროექტი, რომლითაც 1530000 მანეთი გადაიდო ვექთა კორპუსისა, რვა სამხედრო სასწავლებლისა 21 კადეტთა კორპუსისთვის სასროლი ნიშნების გასაკეთებლად უკუაგდეს სოც.-დემ. შეკითხვის ჩქარი განხილვა. შეკითხვა ეხებოდა მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დევნას ადმინისტრაციის მიერ.

თავმჯდომარე მოაგონებს, რომ სათათბირომ დაადგინა ხვალ ხარჯთაღრიცხვის განხილვა დაიწყონ, და აცხადებს, ორი განცხადება შემოვიდა: პირველ განცხადებას ხელს აწერენ ეფრემოვი, მილიუკოვი და ჩხეიძე; ისინი წინადადებას იძლევიან შემდეგი სხდომა ხუთშაბათს დაინიშნოთ საგანგებოდ დეპუტატთა სიტყვის პასუხისმგებლობის განსახილველად. სასამართლო კომისიას დაევალოს ამ დღისთვის მოხსენება წარმოადგინოს ამ საკითხის შესახებ. მეორე განცხადებას ხელს აწერენ მილიუკოვი, ჩხეიძე და კერენსკი. ისინი წინადადებას იძლევიან ხარჯთაღრიცხვის განხილვას ნუ შევუდგებით, სანამ დეპუტატთა სიტყვის თავისუფლება არ დაკანონდებაო.

კერენსკი. მთავრობამ დაარღვია სათათბიროს დებულებათა მე-14-ე მუხლი. ჩხეიძის სამართალში მიცემა დეპუტატთა სიტყვის ხელშეუხლებლობის გაუქმებაა. ეს საკითხი სათათბიროს ყველა წევრისთვის დიდმნიშვნელოვანია. იგი მიუთითებს სახელმწიფო წესწყობილების ახალი პირობების შექმნის აუცილებლობას და გადიდის მემარცხენე პარტიათა მოქმედებისა და სახელმწიფო მართვა-გამგეობის იდეალების დახასიათებაზედ. თავმჯდომარემ კერენსკის სიტყვა წაართვა.

ჩხენკელის აზრით, ხალხის წარმომადგენელთა არსებობის საკითხია განსახილველი. დეპუტატებს პასუხისგებაში აძლევენ, ხალხის ინტერესებს რად ემსახურებითო; დეპუტატებმა პასუხი უნდა აგონ თურმე არა თავისს ამომრჩეველთა, არამედ მთავრობის წინაშე. ს.-დემოკრატებს მთავრობის მუქარისა არ ეშინიათ, რადგანაც იგინი პირველად არ იდევნებიან, აქ უნდა სათათბიროს უმრავლესობამ დაიცვას თავი.

მილიუკოვი. ამ ჟამად იბრძვის ორი მსოფლ-მხედველობა. სათათბიროს წინ გადაეღობა იმისთანა საფრთხე, რომელიც უპასუხოდ არ უნდა დავტოვოთ. მილიუკოვი წინადადებას იძლევა ბრძოლის გადამწყვეტ წუთებში, სათათბირომ ისარგებლოს თავისი უფლებით ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს.

ხმის უმეტესობით მეორე განცხადება არ მიიღეს 169 ხმით 82 წინააღმდეგ. 15 თავი შეიკავა. მეორე წინადადება, ხელმოწერილი.. (გამოტოვებულია).

შემდეგი სხდომა 22 აპრილს მოხდება.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **პოლიტეხნიკუმი.** მთავარ საპოლიტეხნიკუმო კომიტეტის კრება დანიშნულია 24 აპრილისთვის. გუშინ კომიტეტს ქალაქის გამგეობამ სიჩქაროდ გაუგზავნა ქალაქის საბჭოს დადგენილება, რომლითაც საბჭო თანახმაა კომიტეტს აღთქმულ 150 დესეტინის ნაცვლად მისცეს 720,000 მან.

პოლიტეხნიკუმის საძირკვლის ჩაყრისთვის, რომელიც დანიშნულია 27 აპრილისთვის, მთავარ საპოლიტეხნიკუმო კომიტეტის სატეხნიკო კომისია დიდის ამბით ემზადება. დღესასწაულზე მიწვეული 1,000 მეტი წარმომადგენელი მთავრობის სამხედრო და სამოქალაქო უწყებისა, კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებისა, პრესისა და სხვ. კურთხევას დაესწრებიან ტფილისის ყველა საშუალო სასწავლებლის მოსწავლენი ხოროებითა და მუსიკით, მოსწავლეთათვის ტფილისიდან ნავთლუღის სადგურამდე სამი საგანგებო მატარებელი ივლის. წასვლა-მოსვლა შეგირდებისთვის ეღირება 20 კაპ. ამას გარდა კურთხევას დაესწრება სხვა და სხვა ამქარი ხელოსნებისა ბაირაღებითა და საამქრო ნიშნებით. შენობის პროექტი უკვე შედგენილია და მთავარი კომიტეტი 24 აპრილს განიხილავს. პროექტის განხილვის შემდეგ მეფის მოადგილე გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი დანიშნავს საძირკვლის ჩაყრის საათს. იმ აქტის ტექსტის გადიდება საგანგებო პერგამენზე, რომელიც საძირკველს უნდა ჩააყოლონ, დაევალა მხატვარს გრინევსკის. საპოლიტეხნიკუმო ადგილში უკვე აგებენ კარგა მოზრდილ პავილიონს, სადაც სამღვდელოება დადგება. მიწვეულ სტუმართათვის კურთხევის წინა დღით დასცემენ კარავებს. კურთხევის ხელმძღვანელობა მინდობილი აქვთ მთავარ კომიტეტის სატეხნიკო კომისიის თავმჯდომარეს ლ. ი. გულიევს და კომისიის წევრს ა. ს. ბაბოვს, რომელთა ნახვაც შეიძლება ქალაქის გამგეობაში.

◆ **ტყვიავის მამული.** როგორც ვწერდით, ქართულ სამეურნეო საზოგადოებას აზრად აქვს, შეიძინოს ბ-ნ გაბუნიასაგან 20 დესეტინა მიწა, რომელიც ს. ტყვიავში (გორის მაზრა) მდებარეობს. ამ მამულის დამუშავების პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა უკვე შეადგინა და საზოგადოებას წარუდგინა ბაღოსნობა-მეხილეობის ისსტრუქტორმა დ. გორთამაშვილმა. მისის აზრით მამულზე 10 წლის განმავლობაში უნდა დაიხარჯოს 86,090 მან. ამავე ხნის განმავლობაში მამული საზოგადოებას მისცემს შემოსავალს 105,100 მან., ანუ 19,010 მან. მოგებას. ამ პროექტსა და ხარჯთ-აღრიცხვას ქართულ სამეურნეო საზოგადოების საბჭო დღევანდელ კრებაზე განიხილავს. მომავალში მსჯელობას იქონიებს ამ მამულის-შეძენის თაობაზე.

◆ **ქალაქის თვითმმართველობაში.** ქალაქის საბჭოს სატყეო-საბაღოსნო კომისიის თავჯდომარედ გუბერნატორმა დაამტკიცა ს. თ. ხუნდაძე.

◆ ქალაქის ქუჩების სახელის დამრქმევ კომისიის წევრობას თავი დაანება ხმოსანმა პ. ა. გოთუამ. როგორც ვიცით, ხმოსანი გოთუა საბჭომ მხოლოდ ამ უმნიშვნელო კომისიის წევრად აირჩია.

ქალაქის საბჭოს საფინანსო კომისიის კრება, რომელიც 19 აპრილისთვის იყო დანიშნული საპოლიტეხნიკუმო ადგილის რეალიზაციის საკითხის განსახილველად, არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო,

◆ **ვაზის მყნობის განმეორებითი კურსები** მევენახეობისა და მეღვინეობის საგუბერნიო კომიტეტის უფროს ინსტრუქტორის ივ. ო. იოსელიანის ხელმძღვანელობით უკვე დასრულდა: გორის მაზრის სოფლებში—ერედვსა და თამარაშენში და ტფ. მაზრის სოფლებში: პატრძეულისა და ბერთუბანში. კურსები საბოლოოდ დაასრულა 16 კაცმა, რომელთაც ბ-ნმა იოსელიანმა უსასყიდლოდ დაურიგა ვაზის სამყნობლად საჭირო იარაღები: დანები, სასხლავი მაკრატლები, სალესავები და სხვა.

◆ **წვრილ კრედიტის** მთავარმა ამმართველომ მარტყოფის წვრილ კრედიტის ამხანაგობას ნება დართო 40,000 მან. სესხის გატანისა.

◆ მეფის მოადგილის ნიკოლსკის თავმჯდომარეობით იკრიბება საუწყებათა შორისო თათბირი **ტფილისის პოლიტეხნიკუმის შესახებ.**

◆ ქუთაისის გუბერნატორი **ხლაგოჩინსკი** სამსახურიდან დაითხოვეს მუნდირითა და პენსიით.

◆ **ახალი მომხმარებელი საზოგადოება ტფილისში.** თანახმად ტფილისის ტრამვაის მოსამსახურეების თხოვნისა ტფილისის გუბერნატორმა ნება დართო ტფილისის ტრამვაის მუშებს გახსნან ტრამვაის მოსამსახურეთა მომხმარებელი კოოპერატიული ამხანაგობა, რისთვისაც დაიბარეს საპოლიციო ნაწილში შუამავლები და შესაფერ ქაღალდზე ხელი მოაწერინეს.

◆ **გაემგზავრა** ერევნისა და განჯის გუბერნიას სამრევლო სკოლების მეთვალყურე დეკანოზი პაშკევიჩი.

◆ **ხასარგებლო საქმე.** ნ. ავალიშვილი, ვ. მჭედლიშვილი და ლ. ბოგვერაძე საგარეჯოს ბოლოს, სახოხბის ქალაში, სახაზინო მიწაზე ამერიკულ ვაზისა და ხეხილის სანერგის გაშენებას შეუდგნენ 10 დესეტინის მანძილზე. მათ აზრად აქვთ, ეს მამული საგანგებოდ დაიმუშაონ და მისგან მაგალითად გახადონ სოფლელთათვის.

◆ **საქველმოქმედო სეირნობა.** დღეს საარტისტო საზოგადოების საზაფხულო შენობაში გაიმართება სეირნობა რკინის გზის ექვს კლასიან საოქალაქო სასწავლებლის სასარგებლოდ.

◆ **ბოროტმოქმედებათა რიცხვი.** წარსულ მარტის განმავლობაში ტფილისში 107 ბოროტმოქმედება მოხდარა, რომლის გამოც ბოროტმოქმედების ადგილას შეუპყრიათ 126 კაცი.

◆ **წმ. გიორგობა.** დღეს, 23 აპრილს, ქართველ მეფეთა კარისად ნამყოფი წმ. გიორგის ეკლესია თვის დღესასწაულს უქცობს. ეკლესიაში დღეს მწირველია ტფ. ეკლესიების ბლაღოჩინი დეკანოზი ნესტორ მაკარაშვილი. იგალობებ. ა. მაისურაძისა და ლაბაძის ხოროები.

◆ **კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკი.** გუშინ, 22 აპრილს, აქციებზე ხელის მოწერის მეორე დღეს სამეურნეო ბანკს უფრო მეტი ხალხი მიაწყდა, ვიდრე პირველ დღეს. გუშინ მარტო ტფილისში ნახევარ მილიონის აქციაზე მოაწერეს ხელი. სხვა დაბა-ქალაქებიდან დეპეშები მოდის, საიდანაც სჩანს, რომ აქციებზე ხელის მოწერა იქაც კარგად მიდის. პირველ დღეს, 21 აპრილს, ხელი მოუწერიათ: ქუთაისში 400,000 მან. აქციაზე, ქიათურაში—150,000 მან, ფოთში—100,000 მან., ბათომში—120,000 მან., ბაქოში—ერთ მილიონ მანეთის აქციაზე, ხოლო კავკავში—150,000 მან. სხვა ადგილებიდან დაწვრილებითი ცნობები არ მოსულა. აქციებზე ხელის მოწერა კიდევ რვა დღეს გასტანს.

◆ **შუშის ვაჭრობა.** ამას წინად ხმოსანმა პ. ს. ვასილიევმა ქალაქის საბჭოში აღძრა საკითხი: გამოცემული ყოფილიყო სავალდებულო დადგენილებანი შუშის ვაჭრობის მოსაწესრიგებლად. საბჭომ ასეთ დადგენილებათა გამოცემა ნაადრევად სცნო. ხმოსანმა ვასილიევმა ხელმეორედ აღძრა საკითხი საბჭოს დადგენილების გადათვალიერების საჭიროების შესახებ. საბჭომ 21 აპრილის კრებაზე ვასილიევის წინადადება ერთხმად უარჰყო.

◆ **დიდის მთავრის დახვედრა.** ტფ. გრენადერთა მე-15 პოლკის უავგუსტოეს მეფის, რუსეთის სამხედრო სასწავლებლების გენერალ-ინსპექტორის, დიდის მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის თანდასწრებით 21 აპრილს, საღამოს 6 საათზე, ხსენებულ პოლკის ეკლესიაში გადახდილ იქმნა პარაკლისი, რომელსაც დაესწრნენ: მეფის მოადგილის თანაშემწენი გენერალი მიშლაევსკი და უმაღლეს კარის გოფმეისტერი პეტერსონი, ტფ. გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი თ-დი აფხაზი, გუბერნატორი ჩერნიავსკი, ქალაქის მოურავის მოადგილე თ-დი არღუთინსკი-დოლგორუკოვი, კამერგერი ბაგრატიონ-დავითიშვილი, გენერალიტეტი, აფიცრობა და სხვანი. პარაკლისის შემდეგ გაიმართა სადილი, რომელზედაც დიდმა მთავარმა წარმოსთქვა ერთი სადღეგრძელო ხელმწიფე-იმპერატორისა, იმპერატრიცისა ალექსანდრა თეოდორეს ასულისა და მემკვიდრისა. ამის შემდეგ პოლკის უფროსმა პოლკოვნიკმა პროკოპენკომ წარმოსთქვა სადღეგრძელო დიდის მთავრისა. სადილი საღამოს 10 საათზე გათავდა.

◆ **იაკობ გოგებაშვილის** „რუს. სკოე სლოვოს“ პირველ ნაწილ ცვლილებათა შეტანის საჭიროებ გამო ლ. ბოცვაძემ ქ. შ. წ.-კითხვი გამავრც. საზოგადოების სასკოლო სექციას თვისი მოსაზრებანი წარუ დგინა. სექციამ ლ. ბოცვაძის აზრ მოიწონა და დაადგინა,—დაბეჭდოს ეს სახელმძღვანელო ცვლილებით.

◆ **საქველ-მოქმედო სეირნობ** გუბერნატორმა ნება დართო ქ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოები გამგეობას, რათა 25 მაისს ახალ კლუბის სადგომში სეირნობა გამარ თოს საზოგადოების ნივთიერ ღო ნისძიებათა გასაძლიერებლად. სეირ ნობის ფაქტიურ გამგედ საზოგა დოების გამგეობამ კნეინა ქობუ ლაშვილისა მოიწვია.

◆ **წესიერი დასვენება.** სახელოს ნო დაწესებულებათა მოსამსახურე ების წესიერ დასვენების სავალდე ბულ დადგენილებათა დამტკიცებ არა ეღირსა რა. დადგენილებათ პროექტი ხან ქალაქის კომისიების ხელშია, ხან საბჭოში, ხან გუბერნა ტორთან, მაგრამ მის შეცვლა-შევ სებას ბოლო აღარ ეღება. ამის გა მო ხელოსანთ განუსაზღრავთ, გუ ბერნატორს სთხოვენ დადგენილე ბათა პროექტის დამტკიცება.

◆ **ექსკურსია.** 16 მაისს კავკასიას ესტუმრება ნიჟეგოროდის სამასწავ ლებლო სემინარიის უფროს კლას ბის მოსწავლეთა ექსკურსია, რომე ლიც კავკასიაში დაჰყოფს 14 ივნი სამდე.

◆ **საქართველოს ეგზარხოს** ალექსი ამ ჟამად უკეთ გრძნობს თავს და ოთახში დადის კიდეც.

◆ **პოლიტეხნიკუმის გარშემო.** გუშინ, ნაშუადღევს, გამოირკვა, რომ მთავარი საპოლიტეხნიკუმო კომიტეტი არ არის თანახმა, რომ ქალაქისაგან აღთქმულ მიწის ნაცვლად 720,000 მან. მიიღოს. კომიტეტი თხოულობს, რომ ქალაქმა აღთქმა შეასრულოს, გასასყიდი მიწა დაგეგმოს, გაიყვანოს ქუჩები, არხები და წყალსადენი და შემდეგ ისე გაჰყიდოს და აღებული ფული კომიტეტს ჩააბაროს. გუშინვე გამოირკვა, რომ პოლიტეხნიკუმის საძირკვლის ჩაყრა 27 აპრილისათვის არ მოხერხდება, რადგანაც წინასწარ მუშაობა საძირკვლის ჩასაყრელად ჯერ არ არის შესრულებული. საძირკვლის ჩაყრა განზრახულია 4 მაისისთვის, ნაშუადღევის 1 საათზე.

◆ **ახალი გაზეთი.** გუბერნატორმა ნება დართო ს. გ. ბუკიას, გამოსცეს ტფილისში ქართულ ენაზ კვირეული „სალიტერატურო და პოლიტიკო გაზეთი, სახელად „ახა ლი ფიქრი“.

◆ **მონასტრის იუბილე.** 6 მაის გადახდილ იქმნება ბოდბის წმ. ნი ნოს საქალებო მონასტრის 25 წლი არსებობის იუბილე, რომელსაც და ესწრება საქართველოს ეგზარხოს ალექსი.

საზოგადოებანი და კრებები

◆ დღეს კავკასიის საიმპერატო რო საზოგადოების დარბაზში ქარ თულ ფილარმონიულ საზოგადო ების საბჭოს კრებაა დანიშნულ კრება დაიწყება საღამოს რვა საათზ

სასწავლებლებში.

◆ **საბაღოსნო სკოლა.** ახალცი ხის მემამულემ სერვერ ბეგათაბე გოვ-კობლიანსკიმ შუამდგომლობ აღძრა გუბერნატორის წინაშე, რათა ნება დართოს მას, გახსნას ს. ბე გარში პრაქტიკული საბაღოსნო სკო ლა.

სომხეთა ცხოვრება

◆ მიუჰენში გერმანულ ენაზ ახალი ჟურნალი გამოდის („აღმო სავლეთის სული“). ჟურნალის რე დაქტორად არის გერმან ფონ-სტა დონი. ჟურნალის მიზანია გერმანიის საზოგადოებას გააცნოს შორეულ და მახლობელ აღმოსავლეთის ცხო ვრება. ჟურნალმა მოკლე ხანში გერმანიის მწიგნობართა, და მეც ნიერთა და ფართო საზოგადოებ ყურადღება მიიქცია. უკანასკნელ ნომერი ჟურნალისა მთლად სომხე თა შესახებაა, განსაკუთრებით ეხება სომხურ ახალ ლიტერატურის გან ხილვას. მეთაური წერილი დაწერ ლია ცნობილ მკვლევარის და სომ ხეთა ისტორიის მცოდნეს დ. ბურ ხარდის. ავტორი დაწვრილებით აწ წერს სომხურ ახალ ლიტერატურის დამაარსებლის რაფის (1837—1888 წ ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

◆ **შემოწირულებანი.** პეტერ ბურგის სომხეთა ეკლესიების სა ბჭომ დაადგინა გადასდოს 1000 ადერბეიჯანის სომხეთა შორის სწ ვლა განათლების გასავრცელებლად.

◆ **თეატრი.** ტფილისის სომხეთ დრამატიულ საზოგადოების გამგე

ბამ უკვე შეადგინა რეპერტუარი მომავალი სეზონისთვის. გამგეობამ მოლაპარაკება გამართა პირველხარისხოვან მსახიობებთან. გამგეობამ დაადგინა იყოლიოს ერთი რეჟისორი. რეჟისორად ასახელებენ მსახიობ არმენიანს.

ქუთაისი

◆ საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა კრებაზე 20 აპრილს, გ. ს. აკოფაშვილის ნაცვლად, რომელმაც დირექტორობაზე უარი განაცხადა, იოსებ გრიგოლის ძე კამულარია აირჩიეს, საბჭოს წევრებად კი, ნაცვლად ფ. გაბუნიასი და რ. რიჟინაშვილისა, ივლიანე გრიგ. ანჯაფარიძე და რომ. ქაიხ. მახარაძე.

◆ კავკავში 200 კაცს განუცხადებია სურვილი მომავალი კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის აქციათა შეძენისა.

◆ ქუთაისში ცუდი დარები დაიჭირა. ნამდვილი ზამთრის დღეებია. სოფელი სჩივის, მიწის მუშაობა, თესვა დაგვიანდაო. სიცივეს დაუზარალებია ხეხილი, ვაზი და სიმიდი, სადაც ამოუწვერია სუსხისაგან გაყვითლებულიაო.

◆ გუშინ წინ საღამოს 7 საათზე ქუთაისს ესტუმრა რუსეთის გამოჩენილი მწერალი კ. ბალმონტი. მას ჩამოყვა ტფილისიდან გრ. დიასამიძე, ალ. ყანჩელი, გრ. ყიფშიძე და სხვანი.

რკინის გზებზე.

◆ 20 აპრილს, როდესაც სად. მიხაილოვიდან საფოსტო მატარებელი № 4 დაიძრა და გაქანდა კიდეც, თ-დი აბაშიძე ვაგონიდან გადმოხტა და კინაღამ დაიღუპა. თ-დი აბაშიძე უბედურებას ჟანდარმა გადაარჩინა, მაგრამ სარკინიგზო სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის შეპყრობილ იქმნა და გორის ციხეში გაიგზავნა.

◆ 20 აპრილს სად. ბაკურიანში, როდესაც, მატარებელი № 4 დაიძრა, ბაკურიანისავე მცხოვრებმა კ. გ. კაზანაშვილმა რევოლვერი გაისროლა. იგი შეიპყრეს და საგუბერნიო ციხეში გაგზავნეს.

გვირილობა

წინა დღით, 21 აპრილს, მთელს დღეს, განსაკუთრებით საღამოს მეტად ცუდი ამინდი იდგა: ჰქროდა ძლიერი და ცივი ქარი, რაიც მეტად ხელს უშლიდა დღესასწაულის წინასწარ სამუშაოს შესრულებას.

გუშინ, 22 აპრილს, დილიდანვე მზემ გამოანათა, მაგრამ ქარი მაინც ჰქროდა და საკმაოდ ცივოდა კიდეც. ამის გამო ყვავილების გამყიდველნი ქუჩებზე გვიან გამოვიდნენ. ამასთანავე ამ დროს ქუჩებში არც ხალხი იყო, რადგანაც უგემურ ამინდს ყველა სახლში მოემწყვდია. ნაშუადღევს ქუჩებს გამოცოცხლება დაეტყო, მაგრამ იმდენად არა, როგორც წინა წლებში იყო. გარეგანის შეხედვით, ყვავილების გაყიდვა ცოცხლად ვერ მიდიოდა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ქალაქი შარშანდელივით ვერ იყო მორთულ-მოკაზმული, თუმცა ალაგ-ალაგ კარგი კიოსკები იდგა და ქუჩებზე რამდენიმე, ყვავილებით მორთული ეტლები და ავტომობილები დადიოდა. ყურადღებას იქცევდა ურემი, რომელიც თეთრად იყო მორთული და ზურნის თანხლებით ქუჩებზე დაიარებოდა. რამდენსამე ადგილას ქუჩებზე უკრავდა სამხედრო და აგრეთვე მოსწავლეთა მუსიკა. ასე გასტანა ნაშუადღევის 3 საათამდე. ამ დროს შეუძლებელი იყო იმის გამოცნობა, თუ რამდენი შეგროვდა ყულაბებში. ის კი ცხადია, რომ ამ წლის შემოსავალი ბევრად ნაკლები იქნება შარშანდელისაზე. დღესასწაულის მომწყობნი დიდს იმედს ამყარებდნენ საღამოზე, როდესაც ხალხი სახლებიდან გამოდის ხოლმე, საღამოს შედეგს და საერთოდ მთელის დღესასწაულის უფრო ვრცელ სურათს მკითხველთ ხვალ გადავცემთ.

სიღნაღის არჩევნები

სიღნაღის არჩევნების დასასრული იმდენადვე დამახასიათებელია, რამდენადაც თელავის არჩევნები იყო. თელავში ამ რამდენისამე წლის წინად ორგანიზაციულად დაკავშირებულმა სომხობამ დემონსტრატიულად გააშავა ქართველობა. სიღნაღში საქმის ვითარება ცოტა სხვანაირი იყო, მაგრამ დასკვნა არჩევნებისა მხოლოდ იმის მომასწავებელია, რომ საფუძველი ორივე არჩევანისა ერთნაირი იყო: ნაციონალური. სიღნაღის არჩევნებში თავიდანვე სომეხ-ქართველთა ბრძოლა იყო. სომეხთა ამომრჩევლები უმეტეს წილად ადგილობრივი ვაჭრები არიან, ქართველი ამომრჩევლები — განაპირა უბნების ღარიბი ხალხი და ინტელიგენცია.

ყოველი შეგნებული ადამიანისთვის სასიამოვნო უნდა ყოფილიყო, რომ დაინტერესებულთა რიცხვი გაიზარდა და რაც შეიძლება მეტი ამომრჩეველი ჩაება აქტიურად საქმეში, მაგრამ სიღნაღის ვაჭრების გონებამ სხვანაირად გასჭრა, ერთბაშად გამოიჩინეს თავიანთი შოვინისტური სულისკვეთება და ის, რაც აქამდის დაფარული იყო, სააშკარაოზე გამოიტანეს. სხვა და სხვა მახინაციების წყალობით, რომელთა შესახებ უკვე იყო დაბეჭდილი წერილები ჩვენს გაზეთში, სიღნაღი ორ საარჩევნო უბნად გაჰყვეს იმ ვარაუდით, რომ 550 ქართველ ამომრჩეველს მარტო 6 ხმოსანი ამოერჩია და 375 სომეხ ამომრჩეველს კი 9 ხმოსანი. ანგარიში თაღლითურია, მაგრამ სასარგებლო კი იმათთვის, ვინც დღეს ძმობა-ერთობაზე ლაპარაკობს, ხვალ კი შავს კენჭებს გირახუნებს თავში. ასეთი განაწილება უსაშინელესი თაღლითობაა, იგი ყაჩაღობაა შარა გზაზე, მაგრამ, უეჭველია, ამ ყაჩაღობასაც გამოუჩნდებიან ქომაგები და დამცველები. ჩვეულებრივის, ნორმალურის წესით რომ წასულიყო არჩევნები, უეჭველია, გამარჯვებული დარჩებოდა ის, ვის მხარესაც უმრავლესობაა. მაგრამ სასწაული მოახდინეს და უმრავლესობა უმცირესობად გადააქციეს. უმცირესობამ თავიანთი კაცები წამოასკუპა თავზე უმრავლესობას. ასეთი ახირებული „არჩევნები" ჯერ დედამიწის ზურგზე არ მომხდარა. საიდან წარმოსდგება ასეთი უცნაურობა? სიღნაღის სომეხი ვაჭრები მარტო თავიანთი ზომებით ამას ვერ მოახერხებდნენ. საჭირო იყო დასტური იმ უცნაური დანაწილებისა, რომელიც საფუძვლად დაედო ამ ამიერიდან ისტორიულ არჩევანს. ეს დასტური მიღებულ იქმნა იქიდან, საიდანაც საზოგადოდ ადასტურებენ ამგვარ ზომებს, და საქმეც გაიმართა: უმცირესობამ აჯობა უმრავლესობას.

თუ რამდენად საძაგელი იყო ეს არჩევნები თავისი ცინიკური შოვინისტური გულახდილობით, იქიდანა სჩანს, რომ სომხებმა გააშავეს ისეთი პირები, რანაირიც არიან ექიმი ჯანდიერი, ნაფიცი ვექილის თანაშემწე დაფქვიაშვილი და სხვანი. ამათ ნაცვლად, რომელთაც თავიანთი ცოდნითა და განვითარებით ცოტაოდენი სარგებლობა მაინც შეეძლოთ მიეტანათ ქალაქ სიღნაღისთვის, ამოირჩიეს ადგილობრივი, უმეტეს წილად სრულიად გაუნათლებელი ვაჭრები. ასეთი საშინელი ყოფილა სომხების ვაჭრების შოვინიზმი და სიძულვილი ქართველებისადმი. ქართველმა ინტელიგენციამ შეადგინა სია სომეხ-ქართველთა, შეეცადა დაეცვა ეროვნული სამართლიანობა და ობიექტივობა, სომხის ვაჭრებმა კი ქუჩაში გაუძახეს ამ კეთილშობილურ განზრახვას და ცინიკურის გულახდილობით განახლებულ პირთა ადგილზე ვაჭრები, გაუნათლებელი და ხეპრე ვაჭრები წამოასკუპეს.

სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამის შემდეგ ამ უმაგალითო ცინიზმის აღნიშვნისთვის, მხოლოდ აღნიშნისთვის, ისევ ჩვენ მოგვნათლავენ ნაციონალისტებად. რანაირადა ჰგავს ერთი მოვლენა მეორეს და რანაირის სიცხადით გამოსჩანს ყოველს მათგანში ერთი აზრი და ერთი სული?!.

გ. ბარელი.

ტფ. ქალაქის საბჭო

21 აპრილის კრება.

კრება იწყება საღამოს რვა ნახევარ საათზე ქალაქის მოურავის ა. ი. **ხატისოვის** თავჯდომარეობით.

კრების დაწყებისავე **ხმოსანი ალდაბანოვი** ქალაქის მოურავს ა. ი. ხატისოვს ულოცავს განკურნებას ხანგრძლივ ავადმყოფობისაგან.

ა. ი. ხატისოვი. ბ-ნო ხმოსნებო! ნება მომეცით მადლობა გადმოგიცხადოთ იმ გულწრფელ დამოკიდებულებისთვის, რომელიც თქვენ ჩემდამი გამოიჩინეთ იმ დროს, როდესაც საშინელმა სენმა ლოგინს მიმაკრა. მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება ქალაქის თვითმმართველობის კედელთა შორის მიმდინარეობს. ამ მოღვაწეობას 28 წლიდან შევუდექ და წარსულ ოქტომბერში ავადმყოფობამ უცებ მომაშორა საყვარელ საქმეს. მძიმე ავადმყოფობის დროს მხოლოდ თქვენი თანაგრძნობა მანუგეშებდა. ჩემს სანახავად მოდიოდნენ არა მარტო ჩემი მეგობარი ხმოსნები, არამედ ისეთნი მკითხულობდნენ, რომელნიც ჩემს სახლში პირველად შემოდიოდნენ. მოვალედ ვრაცხ თავს, მადლობა გადაგიხადოთ განსვენებულ დედიჩემის ხსოვნის პატივისცემისათვისაც. ვიმეორებ, თქვენი თანაგრძნობა ჩემთვის უდიდესი ჯილდოა. სხვა ჯილდოს ცხოვრებაში მე არასოდეს არ ვეძებდი.

ხმოსნები ქალაქის მოურავს ტაშის ცემით ეგებებიან.

თავჯდომარე. ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ ახალი მდივანი ა. ი. სტავროვსკი, რომელიც დღეიდან შეუდგა ამ თანამდებობის აღსრულებას. ბ-ნ სტავროვსკის საყურადღებოდ საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ უპირველესი მოვალეობა მდივნისა ის არის, რომ ოქმში მიუდგომლად შეიტანოს ყველა ხმოსნის ნალაპარაკევი.

ხორცის ნიხრი.

როგორც მკითხველებმა იციან, ხორცის ვაჭრობის საქმის მოწესრიგებას არა ეშველა რა. ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისია კარგა ხანია იმ ღონისძიებათა ძიებაში, რომელმაც ეს საქმე ერთხელ და სამუდამოდ წესიერ კალაპოტში უნდა ჩააყენოს, მაგრამ ამაოდ. 17 აპრილს კომისიას კრება ჰქონდა და საჭიროდ დაანახა ძროხის ხორცის ნიხრი ერთის კაპეიკით გადიდებინა, ე. ი. 15 კაპეიკის ნაცვლად 16 კაპ. გაეხადა. ამის შემდეგ მსხვილმა ყასბებმა სამეურნეო კომისიას სთხოვეს, რათა სრულიად გაუქმებულ იქმნეს ნიხრი და დაწესდეს თავისუფალი ვაჭრობა. სასაკლაოს დირექტორი თ-დი ნ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვიც ამ აზრს მიემხრო და კომისიას სთხოვა, შეემუშავებინა შესაფერი დადგენილებანი თავისუფალ ვაჭრობის შესახებ. ეს აზრი თვით გამგეობამაც გაიზიარა.

თავჯდომარე. ხორცის ნიხრის გაუქმება ფრიად მნიშვნელოვანი საკითხია. ამიტომ სასურველია, მის განხილვა შემდეგის კრებისთვის გადაიდოს, რადგანაც დაბეჭდილი მოხსენება ამ საკითხის შესახებ ჯერ მზად არა გვაქვს.

საბჭო თავმჯდომარეს ეთანხმება.

საუღელტეხილო გზა.

საბჭოს დავალებით პეტერბურგში ახალ რკინის გზათა კომისიაში ტფილისის წარმომადგენლებად იყვნენ ტფილისის ხმოსანი თ-დი პ. ი. თუმანიშვილი და სახელმწიფო სათათბიროს წევრი მ. ი. პაპაჯანოვი.

საბჭომ თავმჯდომარის წინადადებით დაადგინა, მადლობა გადაუხადოს ზემოხსენებულ პირთ შრომისათვის.

პოლიტეხნიკუმის პროექტი.

თავმჯდომარე კრებას აცნობებს, რომ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ქალაქის თვითმართველობას, რომელმაც პოლიტეხნიკუმისთვის დიდი თანხა გაიღო, გამოუგზავნა სამუნიციპალო მუზეუმისთვის საბოლოოდ შემუშავებული პროექტი პოლიტეხნიკუმის ორგანიზაციისა. პროექტი მშვენიერ ყდაშია ჩასმული.

ფოტოგრაფების თხოვნა.

ფოტოგრაფთა ჯგუფმა ქალაქის გამგეობას სთხოვა, შეუმციროს ის გადასახადი, რომელსაც მათ ახდევინებენ ვიტრინებში გამოკიდულ სურათებში. როგორც ამ თხოვნიდან სჩანს, სასახლის ქუჩაზე გამოკიდულ თითო ვიტრინაზე იხდიან 40—50 მ. წელიწადში, მაშინ როდესაც ოდესაში მხოლოდ 3—5 მანეთს ახდევინებენ.

საბჭო თხოვნას აკმაყოფილებს.

საზოგადოებრივ მზრუნველობის წარმომადგენელთა კრება.

მოკლე ხანში მოსკოვში გაიმართება საზოგადოებრივ მზრუნველობის წარმომადგენელთა კრება. საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ საზოგადოებრივ მზრუნველობად აქ იგულისხმება, მოვლა-პატრონობა ჯვარდაუწერავ დედმამის შვილებისა, ქუჩის მაწანწალებისა, იმ პირთა, რომელთაც ციხისა და კატორგის ვადა გაათავეს და სხვის დაუხმარებლად აღარ შეუძლიათ სწორე გზაზე დადგომა და სხვა. მოსკოვის კრებაზე მიწვეული არიან რუსეთის 13 ქალაქის წარმომადგენელნი, მათ შორის, ტფილისისა. კრებაზე ქალაქებმა უნდა გაგზავნონ ქალაქის მოურავი, ან გამგეობის წევრი. გამგეობას დაუდგენია ამ კრებაზე ტფილისის წარმომადგენლად გაგზავნოს გამგეობის წევრი მ. ნ. ათაბეგოვი და გზის ხარჯად მისცეს 300—400 მან.

ხმ. ევანგულოვი. გამგეობის წევრის გაგზავნა კრებაზე ზედმეტად მიმაჩნია. იქ ჩვენი წარმომადგენელი ერთს თვეს მაინც დარჩება და ამ ხნის განმავლობაში ქალაქის საქმეები მივიწყებული უნდა დარჩეს. ერთის თვის შემდეგ ისედაც კანიკულები დაიწყება და გამგეობის წევრნი დასასვენებლად წავლენ. თუ მ. ნ. ათაბეგოვის გაგზავნა ახლა საჭიროა იმისთვის, რომ მას დასვენების საშუალება მისცეთ...

თავმჯდომარე ზარით სიტყვას აწყვეტინებს.

ხმ. იოანნისიანი გამგეობას ემხრობა და დასძენს: ისეთ მნიშვნელოვან კრებაზე წარმომადგენლის გაგზავნა აუცილებლად საჭიროაო.

ხმ. მიტკევიჩი. საჭიროა ვიცოდეთ, აქვს თუ არა რაიმე პროექტები ბ-ნ ათაბეგოვს კრებისათვის წარსადგენად?

მ. ნ. ათაბეგოვი. თუ საბჭო ჩემს გაგზავნას მოისურვებს, მაშინ მოხსენებას დავამზადებ.

ხმ. მიტკევიჩი; ბ-ნ ათაბეგოვს რაიმე პროექტი რომ უკვე მზად ჰქონოდა, მაშინ გვესმის. ახლა კი რისთვის უნდა წავიდეს. კრების რეზოლუციებს ისედაც გავიგებთ ბ-ნი ათაბეგოვი კი თავის იქ ყოფნით საქმის გარემოებას ვერ შესცვლის.

ხმ. ხუნუნცი. ხმ. მიტკევიჩს ემხრობა და ამბობს, წარმომადგენელს საბჭოსაგან მუდამ დირექტივები უნდა ჰქონდეს, უიმისოდ გაგზავნა კი უაზრობად უნდა ჩაითვალოს.

ხმ. რუსანოვი. გამგეობის წევრი მ. ნ. ათაბეგოვი, რომელიც ამ თანამდებობას დიდი ხანი არ არის ასრულებს, იმდენად შრომის მოყვარე და ენერგიული კაცია, რომ შეუძლებელია, იგი ქალაქის საქმეებს ჩამოვაშოროთ.

საბჭო 25 ხმით წინააღმდეგ 22-სა ადგენს, გაგზავნოს მ. ნ. ათაბეგოვი მოსკოვის კრებაზე და გზის ხარჯად მისცეს 350 მან.

ა. ს. მატინოვის ძეგლი.

ქალაქის მოურავად ნამყოფმა ა. ს. მატინოვმა მთელი თავისი ქონება ანდერძით დაუტოვა ტფ. ქალაქის თვითმმართველობას. გამგეობას დაუდგენია, ა. ს. მატინოვს ძეგლი დაუდგას ბებუთოვის ქუჩაზე, ახლად შეძენილ მიწაზე, სადაც სკოლების აგებაც არის განზრახული.

საბჭო დაეთანხმა გამგეობას და დაავალა, შეადგინოს ძეგლის პროექტი და საზოგადოდ წარმოუდგინოს თავისი მოსაზრებანი ბებუთოვის ქუჩის მიწის გამოყენების შესახებ.

ახალი სკოლები.

გამგეობას დაუდგენია, მომავალ სამოსწავლო წლიდან სამი ახალი სკოლა გახსნას: რუსული — ნაძალადევსა, ან ლოტკის გორაზე, ქართული — კუკიაში, მეცხრე, ან მეათე საპოლიციო უბანში და სომხური — ავლაბარში. გამგეობა საბჭოს წინადადებას აძლევს, ერთის წლის განმავლობაში ამ სკოლების შესანახად გადასდოს 4,282 მან. 32 კ. და ეს ფული შეიტანოს მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვაში, რომელიც ჯერ კიდევ არ განუხილავს საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს.

ხმოსნები დიდხანს კამათობენ. კამათში უმთავრესად მონაწილეობას იღებენ სასკოლო კომისიის წევრნი. კამათს წმინდა პრინციპიალური საპედაგოგიო ხასიათი აქვს.

დასასრულ საბჭო გამგეობის წინადადებას ეთანხმება.

ავლაბარში საქალებო სკოლის შენობის აგების საკითხი საბჭომ საფინანსო კომისიას გადასცა.

ქართული ენა ქართველ მაჰმადიანებში

არა ერთხელ თქმულა და დაწერილა, რომ ქართულ ენას სდევნიან ბათომის ოლქში. ამ ოლქში უკვე რამდენიმე სკოლაა დაარსებული, ახლების გახსნასაც აპირებენ, მაგრამ არც ერთ მათგანში ქართულის სწავლება არ არის აღიარებული. მასწავლებლად, თითქოს განგებ, ჰნიშნავენ თათარს, ბერძენს, რუსს. ზოგ ადგილას ქართველსაც აწესებენ, მაგრამ ქართულის სწავლების ნებას კი არ აძლევენ. ხალხს კი დიდი სურვილი აქვს თავისი დედა ენა, ქართული იცოდეს; წერა-კითხვა მაინც შეისწავლოს, სხვა თუ არა — განსაკუთრებით ქალებშია ქართულ ენისადმი სიყვარული გავრცელებული; ამათ მიწერ-მოწერა ქართულად აქვთ. გულ-აღა კაიკაციშვილის ოჯახში, ქობულეთში მე ვნახე ქართულ ენაზე დაწერილი მოკითხვის წერილი, რომელიც მოუვიდა გულ-აღა კაიკაციშვილის ცოლს თავის ძმის ცოლისაგან. ცოლ-ქმარი გადასახლებულა ოსმალეთში ამ 35 წლის წინად, ბევრი ვაი-ვაგლახი გამოუვლიათ, მაგრამ საყვარელი სამშობლო და დედა-ენა არ დავიწყებიათ გადასახლებული რძალი იგონებს იმ „ბედნიერ დროს", როცა სამშობლოში იყვნენ, ინატრის ტურფა სამშობლოს ხილვა კვლავ ადირსოს ღმერთმა და სთხოვს თავის მულს, ნუ დაივიწყებს მას და შეატყობინოს, თუ რა ამბები ხდება საქართველოში. მიწერ-მოწერისათვის განსაკუთრებული ასოებიც კი შეუქმნიათ მაჰმადიან ქართველებს. ეს ასოები ძრიელ ცოტა წააგვანან ახლანდელ ქართულ ასოებს; ასე რომ მე ვერც კი წავიკითხე. ეს მეორედ არის ისეთი ასოებით დაწერილს წერილსა ვხედავ ქართულს ენაზე; პირველად პოცხოვის ხეობაში ვნახე ამ 15 წლის წინად. ზემოდმოყვანილი მაგალითი გვიჩვენებს, თუ როგორის სამშობლოსადმი სიყვარულით აღსავსე გული უცემთ ქართველ მაჰმადიან ქალებს.

ზოგმა მასწავლებელმა შენიშნა ეს სიყვარული და უჩუმრად შემოიღო ქართულის სწავლება თავის სკოლაში. მაგრამ ამ გაბედულობისათვის კაი-კაი მათრახები მიიღო ცნობილ კასპარიანცის დროს. ახლა წინანდელი დევნა მასწავლებლისა აღარ არის, მაგრამ არც თავისუფლებაა. ახლანდელი ინსპექტორიც აფრთხილებს მასწავლებელს — „თავი დაანებოს ამ პატრიოტულ საქმეს". ზოგი მასწავლებელი კი თითონ წინააღმდეგია ქართულის ხმარებისა. ბათომის სკოლაში ორი მასწავლებელია: რუსი და ქართველი — ჩიმაკაძე. თუმცა მის კლასში დიდ უმრავლესობას მაჰმადიანი ქართველები შეადგენენ, მაგრამ ბ-ნი ჩიმაკაძე, თურმე, ქართულის ხმარებას ისე გაურბის, როგორც ურია ღორის ხორცს.

დაბა ქობულეთში ორ-კლასიანი სასწავლებელია, სადაც 150 მოწაფეა, უმრავლესობას მაჰმადიანი ქართველები შეადგენენ. მასწავლებლებად არიან: თათარი, ბერძენი და რუსი, არც ერთმა ქართული არ იცის. ქართულს, რასაკვირველია, არც აქ ასწავლიან. ამ წლის მარტში დავესწარ ერთს პატარა ყრილობას. აქ იყვნენ ქობულეთის საპატიო და წარჩინებული პირნი: მაჰმადიანთა მოძღვარი ხოჯა ხაფიზეფენდი ცივაძე, გულ-აღა კაიკაციშვილი, მაჰმად-აღა ქუთნია, ზაფით-აღა ჩოწყოლილი, ნური-ეფენდი ჩიჯავაძე და იუსუფ-ეფენდი კაიკაციშვილი. ლაპარაკი ჩამოვარდა ქართული ენის შესახებ, და აი რა მითხრეს ზემოხსენებულმა პატივცემულმა პირებმა: „ვთხოვენით მივმართეთ სამოსწავლო მთავრობას, რომ ქობულეთის სასწავლებლებში შემოეღოთ ქართული ენის სწავლება. დარწმუნებული ვიყავით, რომ ჩვენს კანონიერ თხოვნას დააკმაყოფილებდნენ, მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა, გვითხრეს: „თქვენ ქართველები კი არ ხართ, თურქები ხართ; თქვენი დედა-ენა თათრულია და ამიტომ ქართულს ვერ შემოვიღებთო".

საკვირველია, ღმერთმანი! როგორ, იმათ ჩვენზე კარგად იციან, ჩვენ ვინცა ვართ? რის თურქები! სადაური თურქები! ჩვენ იგივე ვართ, რაც გურულები არიან. ჩვენი მოგვარენი გურიაში ძლიერ ბევრია; ნათესავებიც კი გვყავან იქ. ჩვენ ქართველები ვართ და ჩვენი გვარებიც ხომ სულ ქართულია. ჩვენს ოჯახში ქართულად ლაპარაკობს ქალი და ბალანა, სხვა ენა იმათ არ იციან; თათრულიც სრულებით არ იციან. მხოლოდ ჩვენ, კაცებმა, ვიცით თათრული. ერთი სიტყვით ჩვენი დედა-ენა ქართულია, და ჩვენ კი გვაწვლიან თათრულს. ეს იმას ჰგავს, რომ შენ პური გშიოდეს, და, პურის მაგიერ, ქვა მოგაწოდონ; გწყუროდეს, და შხამი დაგალევინონ. აი ამიტომ არის, რომ ჩვენ ასე ვაწუხებთ ქვეყანას, ვემუდარებით ქართველ საზოგადოებას — ყურადღება მიაქციოს ამ ჩვენს გაჭირვებულ მდგომარეობას, გვიპატრონონ და გაგვიხსნან ისეთი სკოლა, სადაც ყველა საგნების სწავლება ქართულად სწარმოებდეს; რუსული და თათრული ისწავლებოდეს როგორც საგანიო", — დაამთავრეს საუბარი.

ასეთია ქობულეთის მაჰმადიანთა მდგომარეობა. და განა მარტო ქობულეთია ამ მდგომარეობაში? მთელი მაჰმადიანი ქართველობა ასეთ გასაჭირს განიცდის. ყველგან იმათ გადაგვარებას და გადაბირებას სცდილობენ. ამ მხრივ ერთნაირ ტაფაში იწვიან ბათომის ოლქში, ახალციხისა ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრებში და საინგილოში მცხოვრები მაჰმადიანი ქართველები. ამათი წმინდათა წმინდა, დედა-ენა შელახულია, ეროვნული გრძნობა გმობილი. ერთის მხრით რუსის მოხელეები იღვწიან, მეორეს მხრით ოსმალოში განათლებული თურქის მოლები. მთლიანი სურათისთვის ორიოდე მაგალითს მოვიყვან: ამ ხუთი წლის წინად ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ ბათომის ოლქში, სოფ. ბორჩხას, სკოლის გახსნის ნება ითხოვა, — უარი მიიღო: „ჩვენ თვითონ ვხსნით იქ სკოლასო"; 1912 წ. იმავე გამგეობამ სკოლის გახსნა მოისურვა საინგილოში, — უარი მიიღო; წელს ახალციხის მაზრაში, სოფ. ოშორაში, მცხოვრებმა ქართველმა მაჰმადიანებმა განიზრახეს ქართული სკოლის დაარსება. ახალციხის ქართველმა საზოგადოებამ მოისურვა საქმეში ჩარევა და მისი მოწესრიგება, — მაზრის ადმინისტრაციამ გამოუცხადა: „თქვენ იქ რა გინდათ? ოშორელი მაჰმადიანები ქართველები კი არ არიან, თურქები არიან. მათ ქართული არ უნდათ, იქ თათრულია საჭირო. ჩვენ იქ გავხსნით სამინისტრო სკოლას, თქვენ კი ჩამოგვეცალენითო". სოფელ საყუნეთში (ახალციხის მაზრა), სადაც ხალხის გადმოცემით, წმინდა ნინომ მცხეთას გზად ძილად დაისვენა, და დაბა აწყურში (ისიც იქ არის), როგორც გადმოგვცეს, მუსულმანთა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას განუზრახავს თათრული სკოლის გახსნა. (ყველა-ყველა, ამ დალოცვილებს რაღა უნდათ? თუ რამე სახსარი მოეპოვებათ, ის არა სჯობია, რომ თავის დაჩაგრებულ ხალხს მიაშველონ?)...

ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოზმა დავითმა რამდენიმე წლის წინად გადასცა წ. კ. საზოგადოებას თავისი წვლილი ქართველ მაჰმადიანთა შორის სკოლის გასახსნელად და აღუთქვა, რომ ყოველ წლობით შეეწირანდა 400—400 მანეთს ფონდის შესადგენად. მაგრამ, სამწუხაროდ, მას საშუალება მოუსპეს სისრულეში მოეყვანა თავისი განზრახვა... დავით ეპისკოპოზის სახელობის თანხა ახლა 1000 მანეთს უდრის.

ტფილისის თავად-აზნაურობამ რამდენიმე ქართველი მაჰმადიანი გამოზარდა და ახლაც ზრდის ქართულს გიმნაზიაში. მაგრამ ეს მიზანს ვერ აღწევს; გიმნაზიაში გამოზრდილები სოფელს აღარ უბრუნდებიან, რადგან სოფელი და მისი ცხოვრება მათ აღარ აინტერესებთ.

საჭირონი არიან კარგად მომზადებული სოფლის მასწავლებელნი მაჰმადიან ქართველთაგან. მხოლოდ ისინი მოახერხებენ ქართველ მაჰმადიანთა წინ გაძღოლას და გადაგვარებისაგან დაცვას, ისინი გააღვიძებენ ეროვნული გრძნობის ნაპერწკალს ქართველ მაჰმადიანთა გულში და წინანდებულად აღაფრთოვანებენ მათ. კარგ მასწავლებელს დიდი საქმის გაკეთება შეუძლიან სოფელში. ამიტომ ფრიად საჭიროა სამასწავლებლო სემინარიაში გამოზარდონ ქართველი მაჰმადიანები, რომ ხუთი-ექვსი წლის შემდეგ მომზადებულნი და ქართულში გაწაფულნი დაუბრუნდნენ სოფლებს, დატრიალდნენ ქართველ მაჰმადიანებში და იქ იმოღვაწონ. მაშინ, გარწმუნებთ, ვერავინ გაბედავს სთქვას, რომ ქართველი მაჰმადიანები ქართველები არ არიანო. მაშ სტიპენდიები ხონის სემინარიაში ქართველ მაჰმადიანთათვის! ხონის სამასწავლებლო სემინარიაში და არა გორის, იმიტომ რომ გორის სემინარიაში თათრების განყოფილებაა და ყველა მაჰმადიანს იქ მოაქცევენ ხოლმე და თათრულს ასწავლიან. გორის სემინარიაში ახლაც სწავლობს ორი ქართველი მაჰმადიანი. თათრების განყოფილებაში არიან და საშუალებას მოკლებულნი არიან ქართული ისწავლონ. ხონის სემინარიაში არ არის ამნაირი განყოფილება და იქ ყოველნაირად ხელს შეუწყობენ, რომ ჩვენმა პატარა მაჰმადიანებმა რიგიანად შეისწავლონ ქართული. ჩემის აზრით, ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოება თავის განყოფილებებით ვალდებულია ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ხონის სტიპენდიების დაარსებას ქართველ მაჰმადიანთათვის. ამის შესახებ საუბარი მქონდა მე ხონის განყოფილების გამგეობის სამს წევრთან; იმათ სიამოვნებით მიიღეს ჩემი წინადადება და აღმითქვეს, რომ ერთს მაჰმადიან ქართველს უთუოთ გამოზრდიან ისინი თავის ხარჯზე ხონის სემინარიაში.

დარწმუნებული ვარ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობაც არ დაიშურებს ამისათვის ფულს. თითო სტიპენდიის ხონში მოუნდება არა უმეტეს 200 მანეთისა.

გრიგოლ ბურჭულაძე.

სამწუხარო ამბავი...

(წერილი სოფ. ყალამშიიდან).

მართლდება ხმები თრიალეთიდან ქართველთა და ბერძენთა საბერძნეთში წასვლის შესახებ. ბერძნები, რომ იყრებიან და მიდიან ეს ბუნებრივია, რადგანაც ისინი თავის სამშობლოსაკენ მიისწრაფიან; მაგრამ სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ რამდენიმე ქართველ გლეხებსაც გადაუწყვეტიათ წასვლა საბერძნეთში, სადღაც „მორაში"; აპირებენ წასვლას სოფ. გომარეთიდან, ახიდან, ყალამშიიდან, მიჯიდან და სხვა. ცხადია, აქაური ქართველი გლეხები დიდ მიწის სივიწროვეს განიცდიან: მამულები, რომლითაც ისინი უწინ სარგებლობდნენ, მათმა უმოწყალო ბატონებმა, მემამულეებმა, — უცხოელებს ჩაუგდეს ხელში და მით უფრო შეუხუთეს სული ისედაც უმიწობის გამო „შეწუხებულ გლეხებს"; სხვა და

სხვა მრავალი გადასახადებითაც დატვირთულნი არიან აქაური გლეხები, ფულის შემოსავლის წყარო კი სრულიად ცოტა აქვთ; მაგრამ, საკვირველი ის არის, თუ რა იმედი აქვთ საბერძნეთში წამსვლელ ქართველ გლეხებს, მათ საბერძნეთში უკეთესი ცხოვრება მოელით, რომ იქ უკეთესი ცხოვრების პირობებია?! არაფითარი. ისინი ამყარებენ თავიანთ იმედს ბერძნების მიერ გავრცელებულ ხმებზე; ბერძნები ყველგან გაიძახიან თურმე: ჩვენ ცნობა მოგვივიდა საბერძნეთიდან, რომ იქ ბევრი თავისუფალი მიწებია, ვინც მივა, ყველას მუქთად ურიგებენ, მიწა ძალიან ნაყოფიერია, გადასახადები არ არის და სხვა,— ერთი, სიტყვით სამოთხეაო; აი ეს არის მწარე სინამდვილე ამ საქმისა. საჭიროა, გარეშე, გავლენიანი, ამ მოვლენისადმი გულშემატკივარი პირების საქმეში ჩარევა, საჭიროა პრაქტიკული დახმარება, თორემ მარტო ჟურნალ-გაზეთებში წუწუნი ვერას უშველის ამ საქმეს; ჩაგონებით გლეხებს ხელი უნდა ავაღებინოთ ამ გლახა განზრახვაზე..

მასწ. გრიგოლ მაჭავარიანი.

დეპუტატ კ. ჩხეიძის სამართალში მიცემა

დეპუტატების პასუხისმგებლობა.

სახელმწიფო სათათბიროს სასამართლოს კომისია, ოპოზიციის წინადადებით, კ. ჩხეიძის პასუხისგებაში მიცემის გამო, დაუყონებლივ შეუდგა პროგრესისტების შემუშავებულ დეპუტატების პასუხისმგებლობის კანონ-პროექტის შემუშავებას. 17 აპრილს შუბინსკის თავმჯდომარეობით პირველი კრება მოხდა. პროგრესისტი გროდზიცკი, რომელმაც განსვენებულ ვაკართან ერთად შეიმუშავა პროგრესისტების წინადადება, შეეხო სენატის განმარტების 14 მუხლს „სახელმწიფო სათათბიროს დაწესებულება", რომელითაც შეზღუდულია დეპუტატების სიტყვის თავისუფლება. იგი ამტკიცებდა, რომ საჭიროა ამ მუხლის შეცვლა გერმანული კანონმდებლობის დაგვარად.

გროდზიცკის აზრით ამ მუხლის რედაქცია ასე უნდა იყოს შეცვლილი: „სათათბიროს წევრები არ ექვემდებარებიან საერთო წესებს და მათ ვერ სდევნიან ვერც სასამართლოს, ვერც ადმინისტრატიულის, ან სხვა რაიმე წესით, იმ სიტყვებისა და მსჯელობისათვის, რომელსაც ისინი გამოსთქვამენ თავიანთი მოვალეობის შესრულების დროს რასაც კი მათ თავისი თანამდებობა აკისრებს". საპასუხოდ პირველი შუბინსკი გამოვიდა. იგი დაეთანხმა გროდზიცკის, რომ ძირითადი საფუძველი დეპუტატების პასუხის უგებლობისა სწორია, მაგრამ მე-14 მუხლის რედაქციის ასეთი შეცვლა შეუძლებლად მიაჩნია. მას შეუძლებლად მიაჩნია, რომ დეპუტატს შეეძლოს თავისუფლად იფარფაშოს სიტყვებით. განა შესაძლებელია უდიდესებულების შეურაცხყოფა და სხვა? მიუხედავად იმისა შუბინსკი ჰკიცხავს მთავრობის რეპრესიებს. ასეთ საქმის განხილვა,—შუბინსკის აზრით— თვით სათათბიროს საქმეა, და მას უნდა მიეცეს ფართო რწმუნებულებანი. შუბინსკი წინადადებას იძლევა თვით სათათბიროში შესდგეს სადისციპლინო სასამართლო.

დასასრულ შუბინსკიმ წინადადება მისცა ამოირჩიონ საგანგებო კომისია პროგრესისტების წინადადების რედაქციის შესამუშავებლადო.

სკოროპადსკის წინადადებით, გაძლიერებულ უნდა იქნეს თავმჯდომარის უფლება და ძალა.

კომისიამ მიიღო მუხლობრივი განხილვა და ამოირჩია კომისიის წევრებად: ბენიგსენი, გროდზიცკი, ლიუცი, ჩერნოსვიტოვი, მაკლაკოვი, სკოროპადსკი და შუბინსკი.

მთავრობა და დეპუტატების სიტყვის თავისუფლება.

შუბინსკისა და სკოროპადსკის უეცარი წინადადება, რომელიც შეტანილი იყო სათათბიროს სასამართლო კომისიის კრებაზე, შედეგად მოჰყვა იმ მოლაპარაკებას, რომელიც სათათბიროს ხელმძღვანელებისა და კაბინეტის წევრების შორის მოხდა.

ირწმუნებიან, ვითომც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დაბეჯითებით სთქვა, რომ ნ. ს. ჩხეიძის საქმეს პრინციპიალური ხასიათი არ აქვს და იგი სრულებით არ უნდა იყოს პრეცედენტათო.

ამის საპასუხოდ სათათბიროს თავმჯდომარემ განაცხადა, თვით საკანონმდებლო დაწესებულებას შეუძლიან შეიმუშავოს ზომები, რომელიც სათათბიროს ტრიბუნას მოლაპარაკეთა თავგასულობისაგან დაიფარავსო. მაგრამ ძლიერ არა სასურველია სახ. სათათბიროს წეს. მე-14 მუხლის გაუქმებაო.

კულუარებში ამბობენ, მთავრობა წინააღმდეგი არ იქნება ამ კანონ-პროექტისა, თუ აღნიშნული იქნება რეპრესიები მოლაპარაკეთა ექსცესებისათვის. მთავრობა ვითომც თანახმაა, რომ ხელი შეუწყოს საბჭოს კანონ-პროექტის გატარებას.

უცხოეთი

არჩევნები საფრანგეთში.

პარიზი. „ჰუმანიტე"-ს გამოანგარიშებით უკანასკნელ არჩევნების დროს სოციალისტებმა მიიღეს 1,400,000 ხმა, ე. ი. 280,000 ხმით მეტი ვიდრე ოთხის წლის წინედ.

როგორც გამოირკვა 342 არჩეულ დეპუტატიდან 210 მომხრეა სამწლიან სამხედრო ბეგრისა, 131 კი, წინააღმდეგია. იმათგან კი რომელთაც უმეტესობა ხმებისა არ მიუღიათ და ხელმეორედ უნდა იყვნენ არჩეულნი, ამ კანონის მომხრეა 132, მოწინააღმდეგე კი 119. ამ რიგად სამწლის ვადიან სამხედრო ბეგრის მომხრე გამოდგა 4,644,286 ამომრჩეველი, წინააღმდეგი კი 2,936,041. მთავრობის მომხრე პრესა გამარჯვებას დღესასწაულობს.

პარიზის ყველა დიდი გაზეთები მთავრობის მიმართ უკეთეს შემთხვევაში არა მეგობრულ ნეიტრალიტეტს იცავდა. ასე რომ მემარცხენე ბლოკის კანდიდატები ცხადად ლაპარაკობდნენ „პრესის ტრესტის შეთქმულებაზე". ეს გარემოება რასაკვირველია, ორკეცებს გამარჯვების მნიშვნელობას, რომელიც მოხდა ისეთ გაზეთების დაუხმარებლად, რომელთაც მილიონი მკითხველები ჰყავთ.

ირლანდიის ავტონომიის გარშემო.

ლონდონი. ბელფასტიდან დეპეშით იუწყებიან: 15 აპრილს მთელი ღამე ულსტერის ნაპირებთან დასცურავდა ორი კრეისერი და სამი ნაღმოსანის საწინააღმდეგო გემი. გემებიდან პროჟექტორის შემწეობით აშუქებდნენ სხვა და სხვა ნავსადგურებსა და ნაპირებს, რათა შეემჩნიათ ორანჟელთა ნავები ან ავტომობილები იარაღით. გზებზე ჩაყენებულია პოლიციელთა გაძლიერებული რაზმები, მათ ნაბრძანები აქვთ თვალყური ადევნონ ავტომობილებს, და გასჩხრიკონ ისინი. თუ ავტომობილში იარაღი აღმოაჩინეს, შოფერები უნდა შეიპყრონ.

ამ დღეებში გამოსცემენ განსაკუთრებულ განკარგულებას, რომლითაც მოქალაქეთ საზოგადო ადგილებში სამხედრო ვარჯიშობა აეკრძალება; აქამდე ამას ორანჟისტებს არ უშლიდნენ.

ის ნავები, რომლითაც ორანჟელებმა იარაღი გადაზიდეს გემ „ფანი"-დან, მათ ძალით წაუყვანიათ, ერთი იმათგანი „რომა" 14 აპრილს შოტლანდიის ნავთ-სადგურ აირაში იპოვეს. კაპიტანმა თავის გასამართლებლად სთქვა, რომ ორანჟისტებს გემზე ავიდნენ და განაცხადეს, რომ მან უნდა შესწყვიტოს თავის ბარგით გემის დატვირთვა, რადგან გემი სხვა ნივთების გადასაზიდავად უნდათ, კაპიტანს და მოსამსახურეებმა პროტესტი განაცხადეს, მაგრამ შეიარაღებული ხალხისათვის უნდა დაეთმოთ.

ინგლისის კანონების ძალით ეს მოქმედება მეკობრობად უნდა ჩაითვალოს, ეს კი სერიოზული დანაშაულობაა. მხოლოდ ინგლისის ორანჟისტების გასამართლება მთავრობის ცუდ მდგომარეობაში ჩააყენებს. ნაფიცი მსაჯულები და ჩვეულებრივი მოსამართლეთა შორის ბევრი ნამდვილი უნიონისტია, რომელნიც უეჭველად გაამართლებენ კერსონსა და კაპიტანს კრეგს, რომელთაც მოაწყვეს იარაღის ფარულად გადატანა. საქმე რომ საგანგებო სასამართლოს გადაეცეს, ეს ბრალდებულებს წამებულთა სახელს მოუხვეჭს.

ლონდონი. ბელფასტიდან იუწყებიან, რომ ორანჟისტების საწინააღმდეგოდ ირლანდიის ნაციონალისტებიც სწრაფად ემზადებიან და მოხალისეთა ბატალიონებს ამზადებენ.

სხვადასხვა კუთხიდან ცნობები მოდის, რომ ნაციონალისტებმა ამერიკიდან დიდძალი იარაღი ჩამოიტანეს. იარაღი გადმოაქვთ ნაპირზე და მცხოვრებთა შორის ანაწილებენ.

შეერთ. შტატებისა და მექსიკის ომი

(დეპეშა)

მექსიკა. ნავთსადგურ მონზანილოში აფეთქდა და დაიღუპა მექსიკის გემი, რომელიც დაეჯახა ამერიკის ფლოტის წინააღმდეგ დადებულს ნაღმს. დაღუპულთა რიცხვი ჯერ გამოურკვეველია.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ბერლინი. „ბერლინერ ტაგებლატის" ცნობებით ამერიკელებმა ზარბაზნები დაუშინეს და შემდეგ აიღეს მექსიკის ნავთსადგური სალინაკრუცი, სადაც ექვსი ათასი კაცისაგან შემდგარ ცხენოსანთა რაზმი გადაიყვანეს ნაპირზე. გარნიზონის უფროსმა გამბომ ჯარებით შუაგულ მექსიკისაკენ დაიწია.

ვაშინგტონიდან იტყობინებიან, გენერალი კარანცა, ვილსონის რწმუნებულის თანხლებით გაემართა მექსიკის რესპუბლიკის დედა-ქალაქისაკენ; ამასთანავე განაცხადა, რომ იგი მზადაა შეუთანხმდეს შეერთებულ შტატებს, მაგრამ პირველად კი ჰუერტა უნდა ჩამოაგდოს საპრეზიდენტო ტახტიდან.

ჰერტამ ამ განცხადებაზე საპასუხოდ გადასწყვიტა ბრძოლა გამართოს და ამიტომ სატახტო ქალაქის გარშემო თავს უყრის სამხედრო ძალებს. უცხოელები სატახტო ქალაქიდან გარბიან.

დეპეშები

(დეპეშ. თა პეტერბ. სააგენტოსაგან)

21 აპრილი

უცხოეთი.

ტოკიო. გაჩნდა შავი ჭირი, რომელიც უფრო ღარიბთა უბნებში იჩენს თავს. უკანასკნელს ორს დღეში სამი შემთხვევა იყო.

პეკინი. კონსტიტუციის შესწორების გამო მინისტრთა საბჭოს მაგიერ პრეზიდენტს დაენიშნა სახელმწიფო კანცელარია, რომლის სათავეშიაც ედგება სახელმწიფო მდივანი და მისი ორი ამხანაგი.

ლონდონი. „ტაიმსის" ტოკიელი კორესპონდენტი იტყობინება, ოკუმა კორესპონდენტთან საუბარის დროს უჩვენებდა, ინგლის-იაპონიის კავშირი უსათუოდ უნდა ჩინეთის შესახებ ეკონომიურ კავშირად განვითარდესო. ამასთანავე ერთი მოკავშირე უნდა იძლეოდეს ფულს, მეორე— ჩინეთში საქმის მდგომარეობის შესახებ ცნობებს.

კორფუ. იმპერატორი და დედოფალი გერმანიაში გაემგზავრნენ. გზად გენუაზე გაივლიან.

რაბატი. გენერალ გურას რაზმმა როგის ბანაკზე ჩრდილო მაროკოში იერიში მიიტანა. ბანაკი ხიშტების ბრძოლით აიღეს. ფრანგებს 9 მოუკლეს, 25 დაუჭრეს. მტერს გაცილებით მეტი ზარალი მოუვიდა.

პარიზი. კაიოს სეკუნდანტებმა მოსამართლედ გენერალი მანჟენი აარჩიეს. მედიატორენი საღამოთი შეიკრიბნენ, მოუსმინეს დაიერისა და კაიოს სეკუნდანტებს და დაადგინეს, რომ თვით ფრაზები შეურაცხმყოფელია, მაგრამ მათის აზრით კაიოსა და მის ამომრჩევლებს შეუძლებელია თავი შეურაცხყოფილად ეგრძნოთო. მედიატორებს ჰგონიათ, რომ საქმე გათავებულად უნდა ჩაითვალოს, სეკუნდანტები ითათბირებენ, თუ რა მიმართულება მისცენ საქმეს.

ვენა. კორესპონდენც-ბიუროს აცნობებენ. მთავრობამ კორიციდგან ცნობები მიიღო, ალბანელებმა აჯანყებულებზედ გაიმარჯვესო. მთელს ალბანეთში პატრიოტული მოძრაობაა. მცხოვრებნი იარაღდებიან, რომ გაანთავისუფლონ მტრის მიერ დაჭერილი ადგილები. კორიცასთან 20000 მოხალისეს ელიან. მთავრობა იმედოვნებს, ახლო მომავალში აჯანყებას ჩააქრობს და ეპირის საკითხს მოაგვარებსო.

ლონდონი. ამერიკელი მხატვრის სარჯენტის გამოჩენილი ნახატი სამეფო აკადემიაში სუფრაჟისტმა ცულით დასჭრა. დამნაშავე დაატუსაღეს.

პარიზი. სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად კაიოსა და დაიერს შორის მოხდა დუელი დამბაჩებით. ორთავემ უშედეგოთ ისროლეს ორ-ორჯერ. კაიომ ჰაერში გაისროლა.

რომი. იტალიის ბევრი ქალაქებიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ ავსტრიის საწინააღმდეგო დემონსტრაციები იმართება ტრიესტში მომხდარ იტალიელთა აკლების გამო.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. ლოიდ ჯორჯმა პალატაში ბიუჯეტი შეიტანა. შემოსავალი 200,655,000 გირვანქაა აღნიშნული, გასავალი—205,985,000 გირ., დეფიციტი 5,330,000 გირვანქა.

რუსეთი.

კოვნო. დაბა კეიდანი გადიწვა. ზარალი მილიონამდეა.

პეტერბურგი. პეტრე დიდის ძეგლი აკურთხეს.

სასამართლო პალატამ ბრალმდებლის საქმის გადატანით „რეჩის" რედაქტორს ივანოვს და თანამშრომელს ნაბოკოვს, რომლებიც საოლქო სასამართლომ გაამართლა, ნაბოკოვის წერილის გამო „ბეილისის საქმე", მიუსაჯა 200 მანეთის ჯარიმა ან ორ-ორი თვე სატუსაღო.

პერმი. გერმანელმა მფრინავებმა სათავდებო თანხა წარადგინეს და სამივე პერმიდან წავიდნენ. სააპელაციო საჩივარი ჯერ არ აღუძრავთ.

პოლტავა. ქალაქის მცხოვრებნი ძალიან შეშინებულან ნიადაგ ქვეშ წყლის გაჩენით, რის გამოც ქალაქში ბევრი სახლი ჩამოინგრა. ქალაქის სამმართველომ გადასწყვიტა სპეციალისტებს დაავალოს, რომ ამ მოვლენის მიზეზები გამოიკვლიონ.

ეკატერინოდარი. კავკასიის განყოფილების სტანიცების ატამანთა კრებამ დაადგინა შემოიღოს კაზაკებში საერთო განათლება.

სიზრანი. ქალაქის შუაგულ ადგილს ცეცხლი გაჩნდა. იწვის 12 სახლი. ქარმა ცეცხლი საერობო სავადმყოფოზედაც გადაიტანა, მაგრამ აქ ცეცხლი გააქრეს. ცეცხლის მქრობელი რაზმები დაიბარეს რეევიდანა და ვიაზმიდან.

პეტერბურგი. კრასნოე სელოში პეჩატკინის ქაღალდის ქარხანაში დიდი ცეცხლი გაჩნდა. ზარალი რამდენიმე ასი ათასი მანეთია.

საოლქო სასამართლოში გაირჩა აზნ. სუდაკოვის საქმე, რომელსაც ბრალად ედებოდა ღვთის გმობა, რაც გამოიხატა მით, რომ მან ლევ ტოლსტოის „ჯოჯოხეთის აღდგენა" გამოსცა. ნაფიცთ იგი გაამართლეს. სასამართლომ დაადგინა წიგნი მოსპოს.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს საღამოთი, ქართულს თეატრში **საგულისხმო საღამოსა ჰმართავს ი. გრიშაშვილი.**

ი. ევდოშვილის საღამო. ორშაბათს, 28 აპრილს, ქართულს თეატრში, დრამატიული დასი ჰმართავს წარმოდგენას ი. ევდოშვილის სასარგებლოდ.

სახალხო სახლი. დღეს, 23 აპრილს, სახალხო სახლის დარბაზში დანიშნულია „სალიტერატურო „დილა", რომელზედაც პირველს განყოფილებაში ს. დადიანი წაიკითხავს ლექციას აკ. წერეთლისა და რ. ერისთავის შესახებ. მეორე განყოფილებაში გაიმართება კამათი ქართული თეატრის შესახებ. კამათში მონაწილეობენ: ივ. გომართელი, გ. გორდეზიანი, იპ. ვართაგავა, კ. აბაშიძე, არ. ჯაჯანაშვილი, გ. ჟორდანია, ს. დადიანი, ივ. ჩერქეზიშვილი, შ. ქართველიშვილი, ი. გედევანიშვილი, მ. ქორელი, ვ. შალიკაშვილი და სხვ.

ქართული თეატრი. ორშაბათს, 21 აპრილს, ქართულ თეატრში მათე იანქოშვილმა გამართა საღამო—სამ განყოფილებად. მთელ საღამოში მხოლოდ თვითონ იღებდა მონაწილეობას. პირველ განყოფილებაში წაიკითხა პატარა რეფერატი მავთულიან და უმავთულო ტელეგრაფის შესახებ. რეფერატი თუმცა მკრთალი და დაუმუშავებელი იყო, მაგრამ ჩვენ, ქართველები იმდენად მოკლებულნი ვართ ასეთ მანქანათა მნიშვნელობის მთლიან ცოდნას, რომ მაინც სასიამოვნოდ უნდა ჩაითვალოს ამ საგანზე ბაასი.

მეორე განყოფილებაში დასდგა საკუთარი „კომედია" „გაქირავებული ადვოკატი". პიესაში რვა როლია; ყველა ამ როლებს თვითონ იანქოშვილი ასრულებდა. საზოგადოება უფრო მადლობელი დარჩებოდა რომ ეს როლები მხოლოდ საკუთარ ოთახში, ხალხის დაუსწრებლად შეესრულებინა.

მესამე განყოფილებაში წაიკითხა „ლექსები" და სცენები; დაუკრა გიტარა და იმღერა. ხალხს მოეწონა ზოგიერთი მოსწრებული სახუმარო სცენა და სიმღერა, რისთვისაც ხანგრძლივის ტაშით დააჯილდოვა.

საღამოს საზოგადოება ნაკლებად დაესწრო და თორმეტის ნახევარზე დაიშალა. **№ 62.**

ღია ბარათი

მოსკოვის ქართველობისადმი „ი. ჭავჭავაძის სახელობის წრეში" თამარ მეფის საიუბილეო საღამოს მომწყობ კომისიისა.

მოვალეთ ვრაცხთ ჩვენ თავს გაუწყოთ შემდეგი: 25 მარტს საპოლიტეხნიკო მუზეუმში „წრის მიერ თამარის ხსოვნის აღსანიშნავად გამართული საღამო შესდგებოდა მხოლოდ მოხსენებებ საგან. საკონცერტო განყოფილება მოწყობილი იყო კერძო პირების მიერ, იუბილესთან გარეგნულათაც კი დაუკავშირებლად, საღამოს გამგე კომისიის დამოუკიდებლად და მის უნებურად.

კომისიის თავმჯდომარე: **ს. გაჩნაძე.**
წევრნი { **ლ. ხვამთნიშვილი**
ა. კარტოზია.
მდივანი: **ი. ნამიჩეიშვილი.**

რედაქტორი ნ. კურდღელაშვილი.
გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.

მატარებლების მიმოსვლა

18 აპრილიდან.

ტფილისიდან გადის:

(დრო ნაჩვენებია ტფილისის საათით).

ბაქოსაკენ: ნარევი № 22,—4 ს. 58 წ. ნაშუადღ.; სამგზავ. № 12,—4 ს. 5 წ. დღის.; სამგზავ. № 8,—6 ს. 25 წ. საღამ.; ჩქარი № 6,—12 ს. 8 წ. შუადღ.; საფოსტო № 4, 10 ს.—20 წ. დილ.

ბათუმისაკენ: ნარევ. № 21—2 ს. 59 წ. შუადღ.; სამგზავრო № 9,—8 ს. 53 წ. საღამ.; სამგზავ. № 7,—2 ს. 18 წ. დღ.; ჩქარი № 5,—8 ს. 18 წ. საღ.; საფ. № 3,—9 ს. 54 წ. დილით.

ბორჯომისაკენ: სამგზავ. № 17/18,—7 ს. 28 წ. დილ.; სამგზავ. № 19/20,—3 ს. 22 წ. დღით.

მცხეთისაკენ: სააგარაკო № 61,—8 ს. 23 წ. დილ.; სააგარაკო № 63,—1 ს. 40 წ. დღისა.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: ნარ. № 22,—3 ს. 55 წ. დღის.; სამგზავ. № 10,—9 ს. 51 წ. დილ.; სამგზავრო № 8,—5 ს. 53 წ. საღ.; ჩქარი № 6,—11 ს. 8 წ. დღ.; საფ. № 4,—9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდან: ნარევი № 21,—1 ს. 19 წ. შუადღ.; სამგზავ. № 9,—10 ს. 5 წ. დილ.; სამგზავ. № 7,— 1 ს. 42 წ. დღით, ჩქარი № 6,—7 ს. 41 წ. საღამ.; საფ. № 3,—9 ს. დილ.

ბორჯომიდან: სამგზავ. № 17/18,—10 ს., 28 წ. საღ.; სამგზავ. N 19/20,—7 ს. 25 დილ.

მცხეთიდან: საბაგ. № 62,—12 ს. 18 წ. დღ.; საბაგ. № 63,—8 ს. 48 წ. საღ.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები
1—2 **გ. ა. გედბლიანი** (სდგას ვერა-გ. ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **მ. ლ. კეკელიშვილი** (ავლაბარ., კახეთის ქ. № 2, ტელეფ. 15—27).
8—9 **ე. ა. მელიქ-შახნაზაროვი** (გუნიბის ქ., № 28).
10, 11—12 **ი. გ. ტერ-ნიკოღოსოვი** (მიხეილის ქ., № 169, ტელ. № 985)

გონორეის წინააღმდეგ
(ხუსუნატი)
ახალი წამალი
„SALO პიჩილინ"-ი,
მოქმედებს სწრაფად და არსებითად, ექიმების აზრით, რაციონალურ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფებში. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფითაა და ღირს თითო 1 მ. და 1 მ. 80 კ. ერთნაირად კარგად მოქმედებს გაჩენილებულ და ქრონიკულ ავადმყოფობის დროს და მოკლე ხანში აჩერებს ძლიერს მდინარეობას.
Депо: Петербургъ, разъѣзжая, № 7, аптека Б. Конгейма.
ისყიდება ყველა აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიებში. 1160

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1—2 **პ. ფომინა-ახმეტელოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
3—4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).
5—6ი. **მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).
9—11 **გ. თ. ნათიშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).
10—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ. ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გადასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბნის ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ,
ავადმყოფებს მიიღება ყოველ დღე,
გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:
„606" და „914"
11—12 ს. შ ე შ ხ ა პ უ ნ ე ბ ა
კონსულტაციურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ბეხბუდოვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ზ. ა. ბაბახოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
გ. გ. ბენიამინოვი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
მ. გ. ავეტიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგან. საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ო. გ. ტერ-დავიდოვისა: 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
მ. გ. ავეტიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
1071

ექიმი მ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67

ყველგან მოითხოვეთ
„ამაზმორინ"-ი,
უებარი საშუალება ფეხის და ხელების სხვა ნაწილების ოფლისა
ა. ე. ისააკიანცისა.
ეს ფხვნილი ყოვლად უვნებელია.
საუკეთესო მოწონების ბარათები გვაქვს.
ფასი 20 კ.
საწყობები: ძმ. ტერტეროვების სააფთიაქო საწყობი თავ ვორონცოვის ძეგლთან, ან ანტონოვის ქუჩა № 32, არამს. 21

ს ო რ ა პ ა ნ ი ს გ ა მ ო ც ე მ ა.
დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ თხზულებანი
გიუ-დე მოპასანისა
ტომი 1, ფასი 1 მანეთი.
სრული სამზარეულო
შედგენილი კნ. ბარბარე ჯორჯაძის მიერ. ფასი 1 მან., ყდით 1 მ. 40 მ.
მსურველს წიგნი ფასდადებითაც გაეგზავნება.
მისამართი: Тифлисъ, типографія Сорапанъ М. Гачечиладзе. 1161

თევზის მრეწველნი
ძმ.
მეგველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9
ტელეფონი № 712.

მანუფაქტურა
ავლაბარში
ფოსტის განყოფილების ქვეშ,
საკუთარ სახლში.
იყიდება
იმავე ხარისხის
საქონელი,
როგორც პუშკინის ქუჩაზე.
1081

ტფილისი, სტამბა „შრომა", მუხრანის ქუჩა. ტელეფონი № 14—42.